

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 12

დეკემბერი

2007

მომლოცველობა წმიდა მიწაზე

მოწოდებულნი ორპირში

დღესასწაული ახალციხეში

განყოფა ფილიოკვეს გამო?

სიმპოზიუმი ქუთაისში

ქრისტიანული სიმბოლიკა

რედაქციის გვერდი

საით მიდის დემოკრატია?

ნოემბრის პირველი ორი კვირის მანძილზე, სწორედ იმ დროს, როდესაც თბილისში, საქართველოს პარლამენტის წინ, საპროტესტო გამოსვლები იმართებოდა, იტალიაში გახლდით და ამ მოვლენებით დაინტერესებული მრავალი ადამიანი მისვამდა კითხვებს ამ გამოსვლების მიზეზებზე, ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ ვითარებაზე... მათ კარგად ახსოვდათ საქართველოში განვითარებული ამ უკანასკნელი ათწლეულების ფაქტები და ტელევიზიით მიღებული შთაბეჭდილებები.

თუ არ ჩავთვლით გაცემული პასუხების მცდელობებს, საქართველოში დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ ფაქტებმა და განსაკუთრებით ხალხისგან გაგონილმა, სულ სხვა სიცხადე შეიძინა, და თუ არ ჩავთვლით განსხვავებულ შეხედულებებს, რაც შეიძლება თითოეულს გააჩნდეს და ვის გუნდშიც არ უნდა იყოს, უნებლიედ დამებადა ეს კითხვა: “საით მიემართება და რა სახე აქვს საქართველოში დემოკრატია?”

კითხვა სრულებით არ მეჩვენება ფუჭად და ზედმეტად იმ წლების ფონზე, რამაც მოიტანა დამოუკიდებლობის გამოცხადება, დაპირისპირებულთა ორივე მხრიდან მსხვერპლი, ხალხის მასებში სიღატაკის გავრცელება, მასმედიის საშუალებების გაუწონასწორებელი გამოყენება, რაც ზოგიერთი ტელევიზიის დახურვამდეც მივიდა, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის სირთულე...

მაგანმა შეიძლება იფიქროს, რომ მსოფლიოს მრავალ მხარეში დემოკრატიულ სისტემას დღეს კრიზისი უდგას ახალ-ახალი სიტუაციების აღმოცენებით, “სოციალური სამართლის” არსის ნამსხვრევებად ქცევით, ეთიკური რელატივიზმის გაბატონებით, იმ უთანასწორობით, რომელიც ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა დემოკრატიის წიაღში; რა უნდა ვიფიქროთ იმ კავშირებზე, რაც იბმება დემოკრატიასა და გლობალიზაციას, დემოკრატიასა და ეკონომიას, დემოკრატიასა და მასმედიას შორის, რის გამოც ძალაუფლება არა ხალხის, რამედ სხვის ძალად იქცა, იმის, ვისაც უპყრია ეკონომიური სადავეები, საკომუნიკაციო ძალაუფლება, ვისაც ხშირად არ ანადგვლებს არა მარტო თავისი ხალხის და ერის მომავალი, უმრავლეს შემთხვევაში მთელი მსოფლიოს სიკეთე თუ ბოროტება. და ეს არის დემოკრატია?

თუ დღეს მსოფლიოში გაიხმის საგანგაშო სიგნალები იმის თაობაზე, რომ დემოკრატია საფრთხეშია და ნელ-ნელა ეცლება საყრდენები, დღის წესრიგში

არ დგება დემოკრატიის არჩევა მთავრობის ოპტიმალურ რეჟიმად, არამედ იმ ფასეულობების ჩვენება, რაც მას აძლიერებს და იღვებს, რაც მას ამდიდრებენ: მაშასადამე, საკითხავია არა დემოკრატიის არსებობის საკითხი, არამედ თუ როგორი უნდა იყოს იგი დღეს, ამ გლობალიზებულ, ეკონომიური კუთხით უსამართლოდ განვითარებულ და მასმედიის მიერ ცალსახად მანევრირებულ მსოფლიოში.

ის, თუ რას ნიშნავს დღეს დემოკრატია და კონკრეტულად რა მოაქვს მას ახალ-ახალი სცენარებით და ახალ-ახალი ძალაუფლებით, თანამედროვეობის გამოწვევა გახლავთ. დემოკრატიის აღსრულება მჭიდრო კავშირშია იმ ნიჭთან, თუ როგორ შეინარჩუნებ გავლენისა და კონტრგავლენის, უმრავლესობის და უმცირესობის ფრთხილი გაწონასწორებით სხვადასხვა ძალაუფლებას, გამოძებნი ფართო ასპარეზს პოლიტიკური დებატებისათვის და წამოიწყებ იმ პროცესებს, რაც დაეხმარება მოქალაქეთა გაბედულ მონაწილეობას საერთო კეთილდღეობის საკითხებში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება წინაპირობა იმისა, რაც დაადასტურებს იმ “გავრცელებულ და მსუბუქ დესპოტიზმს, რომელიც ადამიანებს ყოველგვარი ტანჯვის გარეშე გაანადგურებს” (ტოკვილი).

ყოველმა ჭეშმარიტმა დემოკრატმა უწყის, რომ თავისთავად დემოკრატიის, როგორც საერთო სახლის აგება, – სადაც ყოველი ადამიანი, მემარჯვენე, მემარცხენე თუ ცენტრისტი იმ რწმენით იცხოვრებს, რომ იმსახურებს ისეთ წესრიგში, რომელიც აღიარებს პიროვნების უპირველეს ღირსებას, რელიგიური თავისუფლებიდან სიცოცხლის პატივისცემამდე, – არ გულისხმობს ერთხელ და სამუდამ ყველასთვის აგებულ შენობას, ეს იქნება სახლი, რომელიც ყოველდღე შეკეთდება და გალამაზდება.

არ კმარა ზოგადი მოწოდება “გვიყვარდეს ერთმანეთი” და არც დაშინების სხვადასხვა ფორმების გამოყენება, რა მხრიდანაც უნდა მოდიოდეს ის, იმ ადამიანთა პრობლემების გადასაჭრელად, ვინც მოედანზე იდგა ან შინ დარჩა. “სოციალური ცხოვრების ხარისხი” გადადის “დემოკრატიული ცხოვრების ხარისხში”, რაც თავის მხრივ ეფუძნება სოციალურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს. დავფიქრდეთ, რამხელა საშუალებაა მონაწილეობის მისაღებად სასკოლო და აღმზრდელით ასპარეზზე მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლე ახალგაზრდებისთვის, სოციალური დახმარების სფეროში მოხუცების, გაჭირვებულების, ოჯახების მიმართ, რამხელა ასპარეზია სოციალური პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმების მოსაძებნად თავისუფალი დროის გამოყენების, ბუნების პატივისცემის, უფრო სამართლიანი კანონების მიღების მიზნით... ამდენად, არ კმარა მხოლოდ საკუთარი წარმომადგენლები ავირჩიოთ და გვწამდეს მათი დემოკრატიულობა ან საკუთარი მონაწილეობის შემდეგ, აღარ დავინტერესდეთ საზოგადოების ბედით, ანთუ როგორ ასრულებენ ისინი მიღებულ მანდატს. ასევე, იმათაც, ვინც მთავრობაში არ იმყოფება, მის ერთადერთ მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს მთავრობის დამხობა განუწყვეტელი, ეროზიული და ცალმხრივი კრიტიკის გზით.

ამ კრიტიკულ ვითარებაში ქრისტიანებმა უწყიან, რომ ყველაფერი, რაც საზოგადოებას სიკეთის სამსახურში მოიხმობს, მათი რწმენიდან მოდის, რომელიც აცხადებს ჩვენს მიმართ ღმრთის სიყვარულს, გამჟღავნებულს ღმრთის ძის – ჩვენი სიყვარულის გამო კაცადქმნილი იესოს სიცოცხლესა და სიკვდილში.

კათოლიკე ეკლესიის მორწმუნეები საქართველოში წლევანდელი ლიტურგიული წლის დასაწყისს, 2 დეკემბერს, ღმრთისმსახურების აღსავლენში აქტიური მონაწილეობით ეზიარებიან იმ ენერგიასა და იმ თვითშეგნებას, რაც მათ ამ ქვეყნის დემოკრატიულ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობის მისაღებად დაეხმარებათ.

გაბრიელე ბრავანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

წმ. ტერეზა ლიზიელის წმიდა ნაწილები რომში

რომში ჩამოასვენეს წმიდა ნაწილები ტერეზა ლიზიელისა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ტერეზა ყრმა იესოსი (1873-1897). წმიდა ნაწილებიანი კილობანი რომში 9 ნოემბერს ჩამოიტანეს და პაპის კოლეგიუმის “რუსიკუმის” ტაძარში დაასვენეს. შაბათს, 10 ნოემბერს, ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბულგარეთის ბიზანტიურ-სლავური წესის კათოლიკეთა სოფიის სამოციქულო ეგზარქოსმა ხრისტო პროიკოვმა წმიდა ანტონი მეგვიპტელის აღმოსავლური წესის კათოლიკურ ტაძარში წირვა აღავლინა. შემდეგ წმიდა ნაწილთა მოლოცვის შესაძლებლობა მორწმუნეებს ტრინიტა დეი მონტის ეკლესიაშიც ჰქონდათ. 14 ნოემბერს, პაპ ბენედიქტე XVI-ის აუდიენციისას, სიწმიდეს წმ. პეტრეს მოედანზე გადაასვენეს.

წმიდა ტერეზა ლიზიელი კანონიზირებულია 1925 წლის 17 მაისს. წმიდა ნაწილთა მომლოცველობა წმიდანის გარდაცვალების 110 წლისთავს უკავშირდება. 1997 წელს კი, ტერეზა მცირის გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ, იოანე პავლე II-მ იგი ეკლესიის მოძღვრად გამოაცხადა (წმიდა ტერეზა კათოლიკე ეკლესიის რიგით 33-ე მოძღვარი გახდა).

ახალი გამოფენა ვატიკანში

ვატიკანის მუზეუმებში მიმდინარეობს გამოფენა საერთო სახელწოდებით “აპოკალიპსი – უკანასკნელი გამოცხადება”. გამოფენაზე წარმოდგენილია ხელოვნების ასზე მეტი ნიმუში, რომელთა მთავარი თემა გამოცხადების წიგნია. აპოკალიპსი ახალი აღთქმის ბოლო წიგნია, რომელშიც პატმოსზე გადასახლებული იოანე ღმრთისმეტყველი თავის მისტიკურ ხილვებს აღწერს.

ვატიკანის მუზეუმების დირექტორი ფრანჩესკო ბურანელი ამბობს, რომ გამოცხადების წიგნი დევნათა შესახებ მოგვითხრობს. ეს თემა აქტუალურია დღესაც, როდესაც ეკლესია ასევე იდევნება. ექსპოზიციის დირექტორი ალესიო გერეტი არნიშნავს, რომ აპოკალიპსი არა კატასტროფათა, არამედ იმედის წიგნია.

ექსპონატები IV-XX საუკუნეებით თარიღდება. ექსპოზიციაში შესულია ხელნაწერები, ფერწერა, ქანდაკება, საიუველირო ნაკეთობები, გრაფიურები და გრაფიკული ნამუშევრები; წარმოდგენილია ლუკა ჯორდანოს, ლორენცო ლოტოს, უილიამ ბლეიკის ტილოები, დიურერის გრაფიურები; გამოფენის დიდი განყოფილება ბიზანტიური ხატებისაგან შედგება. ხელოვნების ნიმუშები ჩამოტანილია ლუვრიდან, ტრეტიაკოვის გალერეიდან, მადრიდიდან, ბუდაპეშტისა და ვარშავის ეროვნული მუზეუმებიდან.

ბართლომე I-ის სტუმრობა ამაღფიში

“სამაგალითო მოვლენა ქრისტიანთა სრული ერთობის გზაზე” – ასეთი სათაურით აქვეყნებს ვატიკანის გაზეთი “ოსერვატორე რომანო” სტატიას, რომელიც მოგვითხრობს ბართლომე I-ის ისტორიული ვიზიტის შესახებ ამაღფიში 22 ოქტომბერს. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანდრია მოციქულის საფლავი მოილოცა. თავის სიტყვაში ბართლომე I-მა ისაუბრა იმ მჭიდრო კავშირზე, რომელიც არსებობდა წარსულში ამაღფის საზღვაო რესპუბლიკასა და კონსტანტინოპოლს შორის, სადაც წმ. ანდრია მოციქულმა პირველი ქრისტიანული საკრებულო დააარსა და მისი პირველი ეპისკოპოსი გახდა.

IV საუკუნეში მოციქულის წმიდა ნეშტი პატრიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს. 1208 წლის 8 მაისს ამაღლის კარდინალმა პიეტრო კაპუანომ, პაპის ლეგატმა IV ჯვაროსნული ლაშქრობისას, წმიდა ნაწილები კონსტანტინოპოლიდან ამაღლიში ჩამოასვენა. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის მიიჩნევდა ანდრია მოციქულს თავის მთავარ მფარველად. მაგრამ რვა ასწლეულის მანძილზე კონსტანტინოპოლის არც ერთ პატრიარქს არ მოუწოდებია მოციქულის საფლავი ამაღლიში.

ამაღლის მთავარეპისკოპოსმა ბენედეტო მარია საღვატორე კიანეტამ ღრმა მადლიერება გამოხატა იმ პატივისთვის, რომელიც მსოფლიო პატრიარქმა დასდო ქალაქს თავისი სტუმრობით. მთავარეპისკოპოსმა ბართლომე I-ს გადასცა ანდრია მოციქულის ნეშტის ნაწილი და გამოთქვა იმედი, რომ ეს გახდება ახალი სასიცოცხლო სტიმული კონსტანტინოპოლის უძველესი ეკლესიისთვის, რომლის მწყემსი იყო მოციქული, თვით ქრისტემ რომ მოუხმო თავისი ფარის სამწყემსად.

პატრიარქმა ბართლომე I-მა გამოხატა სიხარული საფლავის მონახულების გამო და ღრმა მადლიერების გრძნობა ამ ფასდაუდებელი ძღვენისთვის, რომელიც შეუერთდება სიწმიდეებს, რაც მას 2004 წლის 27 ნოემბერს იოანე პავლე II-მ გადასცა, – იგულისხმებოდა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსების, გრიგოლ ნაზიანზელისა და იოანე ოქროპირის წმიდა ნაწილები.

“განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს უწმიდეს ძმას, პაპ ბენედიქტე XVI-ს, რომელმაც დღეს ფასდაუდებელი განძი გადმოგვცა: წმიდა ნაწილების სახით კონსტანტინოპოლის სამოციქულო ეკლესიის დამფუძნებელი თავის სამწყსოს უბრუნდება. ეს ჟესტი სამუდამოდ დარჩება როგორც მოწმობა პაპის სიყვარულისა მსოფლიო პატრიარქის მიმართ და მასთან მშვიდობიანი თანაარსებობის კავშირების გამყარებისა,” – აღნიშნა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა.

ქალაქის მერმა ანტონიო დე ლუკამ მსოფლიო პატრიარქს ამაღლის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

აშშ-ის კათოლიკური რადიოსადგურები გაორმაგდა

რადიოთა კათოლიკური ასოციაციის თავმჯდომარის სტივენ გაიდოსიკის განცხადებით, კათოლიკურ რადიოსადგურთა რაოდენობა აშშ-ში ამ ბოლო დროს გაორმაგდა.

“ჩვენ გავაერთიანეთ ეპარქიების, სამრევლოების, საბჭოების, საერთო, იურისტთა და ინჟინერთა ძალისხმევა სამაუწყებლო ლიცენზიების მოსაპოვებლად, რათა ეკლესია უკეთ გაუძღვეს ევანგელიზაციის საქმეს. ჩვენს კულტურაში, სადაც ინფორმაცია მოიხმარება 24 საათი დღე-ღამეში და 7 დღე კვირაში, ეკლესია საჭიროებს ამ ინსტრუმენტებს იესო ქრისტეს პიროვნების ეფექტური გამოცხადებისთვის. ჩვენი ასოციაცია იმისათვის არსებობს, რომ დაეხმაროს ეკლესიას ამაში”, – განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარემ. ამჟამად ქვეყანაში 150 კათოლიკური რადიოსადგური მაუწყებლობს.

“უმანკო ქალწულის მხედრობის” 90 წლისთავი

გასულ ოქტომბერში აღინიშნა ორი საიუბილეო თარიღი, რომელიც წმიდა მაქსიმილიან კოლბეს უკავშირდება: 10 ოქტომბერს – მისი კანონიზაციის 25 წლისთავი, 17 ოქტომბერს კი – “უმანკო ქალწულის მხედრობის” (Militia Immaculatae) დაარსების 90 წლისთავი.

1917 წელს კოლბე, რომელიც ამ დროს რომში სწავლობდა, მასონთა დემონსტრაციების მომსწრე გახდა. დედისადმი წერილში იგი შემოფოთებით

აღწერს, როგორ ჩამოატარეს მასონმა დემონსტრანტებმა წმიდა პეტრეს მოედანთან უშუალო მახლობლობაში ქანდაკება – სატანა, რომელიც ფეხით სრესს მიქაელ მთავარანგელოზს. ახალგაზრდა ბერი შეძრული იყო ამ სანახაობით და მაშინვე დაებადა კითხვა: რა გავაკეთო? იგი ჩაუღრმავდა ფრანცისკელთა ორდენის ფესვებს, რომელიც უმანკო ქალწულ მარიამს უკავშირდება. ექვს თანამოაზრესთან ერთად მან “უმანკო ქალწულის მხედრობა” დააარსა. მხედრობის წევრთა მიზანი წმიდა მარიამისათვის თავის მიძღვნა და მისი მეოხებით კეთილი უწყების გავრცელება და ურწმუნოთა, მწვალებელთა და ეკლესიის მტერთა მოქცევაა.

1918 წელს, ხელდასხმის შემდეგ, კოლბე პოლონეთში დაბრუნდა. 1922 წლამდე იგი კრაკოვში მსახურობდა, შემდეგ კი გროდნოს მონასტერში განაწესეს. აქ მან დააარსა გამომცემლობა და ჟურნალი “უმანკო ქალწულის რაინდი”. მამა კოლბე პირველი იყო, ვინც ევანგელიზაციისთვის ბეჭდური სიტყვა და რადიოც კი გამოიყენა.

1927 წელს ვარშავის მახლობლად კოლბემ უმანკო ქალწულის სახელობის მონასტერი – ნეპოკალანოვი დააარსა. აქვე გადმოიტანეს გამომცემლობა, რომელიც აქტიურად და წარმატებით განაგრძობდა თავის საქმიანობას.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის “მხედრობის” წევრთა რაოდენობა მილიონს აღემატებოდა. ნეპოკალანოვში მოქმედებდა რადიოსადგური, გამოიცემოდა პერიოდული პრესა, იგეგმებოდა ტელემაუწყებლობა.

1941 წლის 14 აგვისტოს კოლბე მოწამეობრივად აღესრულა ოსვენციმში.

დღეს უმანკო ქალწულის მხედრობა მთელ მსოფლიოში მოღვაწეობს. მის წევრთა ცხოვრებისეული იდეალი უმანკო ქალწულისთვის თავის მიძღვნა და მსახურებაა.

რუბრიკის მასალა მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

საქართველოს კათოლიკეთა მომლოცველობა წმიდა მიწაზე

წმიდა მიწაზე მომლოცველობა, ალბათ, ყოველი ქრისტიანის ოცნებაა, – ბუნებრივია, საქართველოს კათოლიკენიც ამ ოცნების აღსრულებას მრავალი წელი ელოდნენ. და აი, 2007 წლის 18-25 ოქტომბერს მათი პირველი ნაკადი იესოს ნაკვალევზე მოსალოცად გაემართა. ოცდაცამეტკაციანი ჯგუფი ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის რექტორის, მამა პიერ დიუმულენის მეთავეობით ისრაელის წმიდა მიწაზე გაემგზავრა. ჯგუფში იყვნენ მღვდლები: ზურაბ კაკაჩიშვილი, ერნესტ იესოიანი, ანატოლი ივანუკი, ანდრეი იანიცკი; მონაზვნები: და ანა მარია კრიველარი, და ნოელ ლოკატელი; სემინარისტები: პაატა ქომოშვილი და მიხეილ სურმავა; მორწმუნეები თბილისის საკათედრო ტაძრიდან და, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კათოლიკური საკრებულოდან.

ტელ-ავივის აეროპორტში გულთბილად დაგვხვდა დონ სერჯო, ვატიკანის ტელევიზიის Telepace-ს დირექტორი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ამ მომლოცველობის ორგანიზებაში. იმავე საღამოს ჩვენთვის განკუთვნილი ავტობუსით, რომელიც მთელი მომლოცველობის მანძილზე გვემსახურებოდა, ნაზარეთისაკენ გავეშურეთ. მომლოცველობა სწორედ აქედან დაიწყო, გალილეს ქალაქიდან, სადაც უწმიდეს ქალწულს იესოს შობის შესახებ აუწყა

გაბრიელ მთავარანგელოზმა. სწორედ აქ, სადაც დღეს შესანიშნავი ხარების ტაძარია აღმართული, – ულამაზესი მოზაიკებით, ფრესკებითა და ქანდაკებებით, – რომლის 57 მეტრიანი გუმბათი ქალაქის ნებისმიერი ადგილიდან ჩანს, რომლის ყოველი სარკმელი გამშვენებულია მრავალფეროვანი ვიტრაჟებით, პირველი წირვა აღავლინა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ და აკურთხა მომლოცველები და მომლოცველობა.

წინ მრავალი წმიდა ადგილის მოლოცვა გველოდა:

მონახულება წმ. იოსების სახლისა, სადაც იესომ თავისი სიყრმე გაატარა, რომელიც დღეს წმ. ოჯახის სახელობის ეკლესიაა;

ძველი სინაგოგა, სადაც, ტრადიციის თანახმად, უფალი ქადაგებდა და რომელიც დღეს ქრისტიანთა სალოცავია.

თაბორის განმარტოებული, 480 მეტრის სიმაღლის მთა – მოგონება უფლის ბრწყინვალე ფერისცვალებისა;

გალილეის კანა – ადგილი, სადაც იესომ თავისი პირველი სასწაული მოახდინა: წყლის ღვინოდ გარდაქმნა.

ამაღელვებელი იყო გალილეის ზღვაზე გადასვლა ისეთივე ნავით, როგორითაც იესო გადავიდა მოციქულებთან ერთად. ტიბერიადის ტბა – აქ მოუხმო იესომ თავის პირველ მოწაფეებს, ამ ტბის ნაპირები ინახავენ ქრისტეს მრავალ სასწაულთა მოგონებას.

მათეს სახარებიდან წაკითხულმა საკითხავმა თითქოს დაგვანახა ზღვის ბობოქარ ტალღებზე ფეხით მომავალი მაცხოვარი, რომელმაც შეშინებულ მოციქულებს მშვიდად მიმართა: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“.

შეუძლებელია, მოკლედ ასახო იმ ერთი კვირის მანძილზე ნანახი თუ განცდილი, განწყობა თუ შთაბეჭდილება... მიუხედავად დიდი ფიზიკური დატვირთვისა, ყოველი დღე მაინც ახალი ენერგიით გვაგსებდა.

დაუვიწყარი იყო წირვები, აღვლენილი სხვადასხვა ადგილას; დაუვიწყარი იყო ყოველი წირვისას ეპისკოპოსის მიერ წარმოთქმული ყოვლისმომცველი, გულში ჩამწვდომი ქადაგებანი;

წმ. მესა უზვეულო გარემოში, ღია ცის ქვეშ, 150 მეტრის სიმაღლის მთაზე, სადაც იესო ქრისტემ ნეტარებათა შესახებ ქადაგება წარმოთქვა. დღეს ამ მთას ნეტარების მთა ეწოდება, სადაც უმშვენირესი ტაძარი დგას.

წმ. მესა ბეთლემში, ჯვრის ფორმის ტაძარში, რომლის მეტად დაბალი შესასვლელი აიძულებს ყველა შემსვლელს ქედი მოიხაროს კურთხეული ეკვდერის სიწმიდის წინაშე. ვერც ერთი ქრისტიანი გულგრილად ვერ შეეხება მოვერცხლილ ვარსკვლავს, რომელიც უფლის შობის ადგილზე მიუთითებს და რომლის ლათინური წარწერა გვამცნობს: „აქ ქალწულ მარიამისაგან იშვა იესო ქრისტე“.

წმ. მესა გეთსიმანიის ტაძარში, რომლის ნახევრად ჩაბნელებული, მაღალი თაღები, ხატები ქრისტეს ვნებების გამოსახულებით, იუდას ღალატის სცენა უშუალოდ განგაცდევინებენ უფლის ტანჯვას.

წმ. მესა მარიამის შობის ადგილზე, წმ. ანას ბაზილიკაში. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, აქ ცხოვრობდნენ იოაკიმე და ანა, უწმიდესი ქალწულის მშობლები. სწორედ აქ მოეკვლინა სამყაროს მარიამი.

ემაუსის გზაზე არის ადგილი, სადაც აღმდგარი ქრისტე გამოეცხადა ორ მოციქულს, რომელთაც ვერ იცნეს იგი. შემდგომ იესო მათთან დაჯდა და, როგორც გვამცნობს მახარებელი ლუკა, „აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მიაწოდა მათ; მაშინ თვალი აეხილათ და იცნეს...“

აქ აღავლინა ეპისკოპოსმა ბოლო წირვა, ემაუსში, სადაც დღესდღეობით ერთადერთი ქრისტიანული ოჯახი ცხოვრობს.

უნდა აღინიშნოს, რომ მომლოცველობის მარშრუტი რამდენიმე ეტაპად იყო დაყოფილი; მოვინახულეთ ბეთლემი – ადგილი იესოს შობისა, ნაზარეთი,

სადაც მან ბავშვობა გაატარა მშობლებთან ერთად, 30 წლამდე; მერე კი ადგილები, სადაც მაცხოვარი იმყოფებოდა 30 წლიდან ვიდრე ჯვარცმამდე, როცა თავისი ღმრთაებრივი მისიის აღსრულებას შეუდგა. თითქოს დროთა მსვლელობას გაყვევით:

მდინარე იორდანე – უფლის ნათლობის მდინარე, სადაც განვახლეთ ნათლობის აღთქმანი;

კაპერნაუმი, ყველაზე სწირად მოხსენიებული სახარებაში, იესოს მრავალი ქადაგებისა და სასწაულებრივ კურნებათა ადგილი, რის გამოც მას „იესო ქრისტეს ქალაქი“ ეწოდა.

უმშვენიერესი თეთრი სინაგოგის ნანგრევები, ფრანცისკელი ბერების მიერ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, სადაც იესო ქადაგებდა.

ეკლესია, სადაც ქრისტემ პეტრეს პირველობა განამტკიცა, რომელშიც დაცულია კლდის ნაწილი ლათინური სახელწოდებით: mensa Cristi (ქრისტეს ტრაპეზი);

იერუსალემი, უძველესი ქალაქი იერუსალიმ, ქრისტიანთა წმიდა ქალაქი, ქალაქი ქრისტეს ვნებისა და აღდგომისა; ქალაქი, დაპყრობილი მეფე დავითის მიერ სამი ათასი წლის წინათ, სადაც სოლომონმა, მისმა ძემ, ღმრთის სადიდებლად ააგო ტაძარი...

იერუსალემის წმინდა მთები – ზეთისხილის მთა (აქედან იერუსალიმის ყველაზე საუკეთესო ხედი იშლება), საიდანაც ჩამოვიდა სახედარზე მჯდომი იესო ქალაქში.

სერობის ოთახი – სიონის მთაზე, შენობის მეორე სართულზე, სადაც მეფე დავითის საფლავია. აქ მოაწყო იესომ უკანასკნელი ტრაპეზი და დაამკვიდრა ევქარისტის საიდუმლოება.

და აი, გზა ეშვება ძველი საფეხურებით სიონის მთიდან გეთსიმანიის ბაღისკენ (აქაა ე. წ. ღალატის გამოქვაბული); ამ გზით ჩამოდიოდა იესო თავის მოწაფეებთან ერთად საიდუმლო სერობის შემდეგ; ამ ბაღში, ზეთისხილის მთაზე, დიდხანს ღოცულობდა იგი. აქ ვნების ტაძარია, რომლის კამარა თორმეტგუმბათიანია. ეს მესამე ტაძარია მთაზე, სადაც ღოცულობდა და იტანჯებოდა იესო, სადაც ის გასცა იუდაამ ამბორით, სადაც იგი შეიპყრეს ჯარისკაცებმა.

გეთსიმანიის ბაღისკენ ჩამავალ გზასთან შორიახლოს წმიდა პეტრეს ეკლესიაა. აქ მოიყვანეს იესო მღვდელმთავარ კაიაფასთან დასაკითხად. აქ სამგზის უარყო იგი პეტრემ. ეკლესიის სარდაფში ჯურღმულია, სადაც ჩამწვედიეს იესო. აქ, ამ საპყრობილეში, ქვის ჯურღმულში, სიბნელის ცივ მწუხარებაში ვიდექით და ჩაგვესმოდა ფსალმუნის სიტყვები: „უფალო, ღმერთო ჩემო მხსნელო, ყური მოაპყარ ვედრებას ჩემსას“ (87, 2-10)...

ჯვრის გზა, გზა, რომელიც გაიარა ქრისტემ პილატეს პრეტორიუმიდან სასამართლომდე, აქედან კი – ჯვარცმის ადგილამდე. იესოს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი საათები აღბეჭდილია 14 შეჩერებით, აქედან 9 – გოლგოთას გზამდე, 5 – ტაძრის შიგნით, სადაც უფლის საფლავია.

აღბათ, არც ერთ ჩვენგანს არასოდეს დაავიწყდება ძველი ქალაქის ვიწრო ქუჩები, როგორც მოწმე ქრისტეს ვნებისა. წმიდა წირვა უფლის საფლავზე, ანთებული სანთლები... მუხლმოყრილი მლოცველები... წმიდა საფლავთან დაღვრილი ცრემლი... თითქოს პირველად წარმოთქმული „მამაო ჩვენო“...

წმიდა მესა უფლის წმიდა საფლავზე – ეს იყო მთელი მომლოცველობის კულმინაცია, საოცნებო საჩუქარი, რომელსაც მამა პიერს უნდა ეუმაღლოდეთ; და არა მარტო ამას: მის მიერ მკაცრი სიზუსტით გადმოცემული ახსნა-განმარტებანი სამუდამოდ აღიბეჭდა თითოეული ჩვენგანის მახსოვრობაში.

ორიოდე სიტყვით, ფრაგმენტულად მინდა აღვწერო ზოგიერთი სამლოცველო, წმიდა ადგილი, რომლებიც ჩვენი მომლოცველობის ბოლო ეტაპზე მოვინახულეთ.

დასავლეთის კედელი – რაც დარჩა სოლომონის ტაძრიდან, როცა რომაელებმა დაანგრიეს ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს. ებრაელები მოდიან აქ, რათა გამოიტრონ ეს ტრაგედია, ამიტომაც ეწოდება მას “გოდების კედელი” ეწოდება. მთელი მსოფლიოს ებრაელთათვის ეს ყველაზე უდიდესი სიწმინდეა.

მკვდარი ზღვა – ბიბლიის პირველ წიგნში, დაბადებაში, ნახსენებია მარილიანი ზღვა, რომლის ნაპირზეც გაშენებული იყო სოდომი და გომორა, ცოდვის ქალაქები, რომლებიც უფლის რისხვით აღიგავა პირისაგან მიწისა. დღეს ეს ყველაზე დაბალი ადგილია დედამიწის ზედაპირზე. აღმოსავლეთით მდებარეობს მოაბის მაღლობი, ჩრდილოეთით – ბიბლიური მთა ნებო, მოსეს გარდაცვალების ადგილი.

ყუმრანი – ქალაქი, რომელიც მოხსენებული აქვთ ისტორიკოსებს, იოსებ ფლავიუსს, ფილონ ალექსანდრიელს და რომელიც გაშენებულია მთის ციცაბო ფერდობზე; განსაკუთრებით ცნობილი გახდა ამ სამოცი წლის წინათ ეგრეთ წოდებული ყუმრანის ხელნაწერების აღმოჩენის შემდეგ.

იერიქონი – ქალაქი, მოხსენიებული ძველ აღთქმაში, როგორც ისრაელიანთა მიერ დაპყრობილი პირველი ქალაქი აღთქმულ მიწაზე. აქ ვნახეთ სახარებაში ნახსენები ის ხე, რომელზედაც აძვრა ზაქე, რათა საქადაგებლად გამოსული იესო დაენახა.

ჯვრის მონასტერი – XI საუკუნის ქართული სულიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც დღეს ბერძენთა საკუთრებაა. გადმოცემით, მონასტრის ადგილას იდგა ხე და ამ ხიდან გამოთალეს ის ჯვარი, რომელზეც ქრისტემ განუტევა სული. სწორედ ამ მონასტრის ერთ კედელზე გამოსახულია შოთა რუსთაველი.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მომლოცველობა, როგორც საქართველოს კათოლიკეთა პირველი მომლოცველობა წმიდა მიწაზე, ფართოდ გააშუქა იქ მყოფმა ვატიკანის ტელეარხმა Telepace-მ.

ვერიკო ნოზაძე

წმ. მიწაზე მომლოცველთა შთაბეჭდილებები

ელზა (ახალციხის საკრებულო)

ყველა ქრისტიანმა უნდა ინახულოს წმ. მიწა. ვინც აქ მოვა, იგი უკვე სხვანაირად მოიქცევა ცხოვრებაში.

ნინი (კათედრალური ტაძარი)

აქ მე ყველაფერი რეალურად დავინახე და დავრწმუნდი, რომ, რაც მწამდა, არის უეჭველი სინამდვილე.

და ანამარია (წმ. იოსების პატარა ქალიშვილების კონგრეგაცია, ქუთაისი)

ჩვენ ვკითხულობდით ღმრთის სიტყვის შესაბამის ადგილებს და შემდგომ ეს დამეხმარა საკითხავების სხვანაირად გაგებაში.

დიაკონი მიშა სურმავა (თბილისი)

ეს მომლოცველობა დამეხმარა, გამეგო ჩვენი ეკლესიის ზოგადი მდგომარეობა და დამეხმარება ჩემს შემდგომ გადაწყვეტილებაში.

მარინე (ახალციხის საკრებულო)

უფლის საფლავის მომლოცველობა იყო ჩემთვის ისეთი განცდა, რომელიც ადრე არასდროს მქონია.

მამა ანატოლი:

გაყოფა ეკლესიებს შორის ჩემთვის მეტად მძიმეა.

ნატა (საკათედრო ტაძარი)

ხარების ეკლესიაში სავარდის კითხვა და სანთლებით პროცესია ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

ჯონი (საკათედრო ტაძარი)

ვხედავ, რომ ამგვარი მომლოცველობები ჩემს ცხოვრებას ძალიან ცვლის.

ლელა (საკათედრო ტაძარი)

ნავით მოგზაურობა ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მამა პიერი მოგიტხოვრებდა, თუ როგორ აღელდა ზღვა იესოსა და მოწაფეების მოგზაურობის დროს. დიდმა სიმშვიდემ დაისადგურა ჩემში.

მამა ზურაბი (ვალე – ახალციხე)

ჯვრის გზა იყო ჩემთვის განსაკუთრებული. ხალხი დადიოდა, თავის საქმეს აკეთებდა და ჯვარს არც აქცევდა ყურადღებას.

ნანი (ახალციხის საკრებულო)

როცა წარმოვიდგენ იესო ქრისტეს ვნებებს, ძალიან განვიცდი.

ანა (ბათუმის საკრებულო)

თავიდანვე მქონდა დიდი წინააღმდეგობები, ვფიქრობდი, რომ ვერ წამოვიდოდი. ნაზარეთში ჩამოსვლისას დავწყენარდი და ვიყავი ბედნიერი.

მზია (წმ. წმ. პეტრესა და პავლეს საკრებულო)

დღეს უდაბნოში ვიგრძენი, რა არის ჩვენი ყოფა.

როზა (წმ. წმ. პეტრესა და პავლეს საკრებულო)

როგორი ბედნიერებაა, იმყოფებოდე ნეტარების მთაზე.

რეგინა (ქუთაისის საკრებულო)

აქ ყოფნა ჩემთვის იყო გამოცდა. ჯვრის გზამ იმ ქუჩებში, სადაც იესომ იარა, საოცარი განცდა მომგვარა.

პაატა (სემინარისტი)

ჯვრის გზის დროს ქაოსი ქუჩაში მეტად მიშლიდა საკუთარ თავში ჩაღრმავებას, მაგრამ მიღებული გამოცდილება მეტად ძვირფასია ჩემთვის.

კოტე (ქუთაისის საკრებულო)

მომლოცველობისას ვფიქრობდი, რომ ჩვენი ცხოვრება უნდა იყოს პასუხი კითხვაზე: რანი ვართ ჩვენ? რა აღვილი უკავია იესოს ჩვენს ცხოვრებაში?

ვერიკო (საკათედრო ტაძარი)

ხშირად მიფიქრია უფლის ტანჯვაზე, და ამის შესახებ ვფიქრობდი იქაც, სადაც იესო იყო დატყვევებული. სიჩუმეში ცხადად დავინახე ადამიანების სისასტიკე და უმადურობა.

მანანა (საკათედრო ტაძარი)

ნაზარეთში ნანახი ოთახი საოცრება იყო. სავარდის პროცესია და ქრისტეს საფლავის მონახულება დაუვიწყარ შთაბეჭდილებად დარჩება.

ნანი (თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტი)

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო გეთსიმანიის ბაღი, სადაც იესო, ყველასგან მიტოვებული, ლოცულობს, მიდის თავის მოწაფეებთან და აღვიძებს მათ.

ირინა (საკათედრო ტაძარი)

მე ვემზადებოდი მთელი წელიწადი, ვკითხულობდი, მაგრამ აქ განცდილი მაინც განსაკუთრებული განცდა აღმოჩნდა.

გიორგი (საკათედრო ტაძარი)

პირველივე დღიდან ჩემში სიმშვიდემ დაისადგურა. ნეტარების მთაზე ბევრი რამ უკვე სხვაგვარად დავინახე.

ნინა (საკათედრო ტაძარი)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩემთვის იყო ჯვრის გზა, რომლის დროსაც შევიგრძენი, რომ თითქოსდა იესო ჩემს გვერდით იდგა და მეუბნებოდა: ნახე, როგორ მიყვარხარ, ადექი, წადი წინ, მე შენთან ვარ. გოლგოთაზეც ძლიერი განცდა მქონდა.

მამა ერნესტი

იესოს გაშოლტვის გახსენებამ დამანახა, თუ რა შორს ვარ მისგან. ეპისკოპოსმა იკითხა ნეტარების მთაზე, რომელია უფრო ახლობელი ნეტარებათაგან? მაშინ მე დავიწყე მათ შინაარსში ჩაწვდომა და ფიქრი იმის შესახებ, თუ რომელი ნეტარება სრულდება ჩემში.

მამა ანდრეი (თბილისი)

მე ვნახე სხვადასხვა რელიგიის, წესის, ადათის ადამიანები, სხვადასხვა ენებზე მოსაუბრენი, მაგრამ მათ ერთი მიზანი აქვთ. მე დავინახე ბევრი უსამართლობა ადამიანების მიმართ. განუწყვეტლად ვფიქრობ, რომ ქრისტე დაიბადა, იცხოვრა და მოკვდა ჩემთვის.

მამუკა:

იერუსალემი დღეს თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამით ჰგავს იმ ქალაქს, რომელიც იყო იესოს დროს.

ნათია:

ეს ჩემი პირველი მომლოცველობაა. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერს ხელახალი გააზრება სჭირდება.

მარინა (ქუთაისის საკრებულო)

მე დედა ვარ და ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ჯვრის გზის დროს შეხვედრა დედასთან, მარიამთან.

თინიკო (საკათედრო ტაძარი)

ჭეშმარიტად ღმრთის ნება იყო ჩემი მონაწილეობა ამ მომლოცველობაში, რომელმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მე სწორი გზა ავირჩიე. ეს გზა ჩემი უფალი და ჩემი ღმერთია.

უფლის კვალზე

გმადლობ, უფალო, იმ წყალობისათვის, რომ ღირსი გაგხდი, შენს წმიდა მიწაზე დამედგა ფეხი. ეს ის განცდაა, რომლის აღწერაც ძალზე ძნელია. უფალს შევთხოვ, ყოველ ქრისტიანს მისცეს საშუალება, მოინახულოს წმიდა მიწა.

ჩვენი მომლოცველობა მამა პიერ დიუმულენის ხელმძღვანელობით, რომელიც გულმოდგინედ მიგვიძღოდა და გვიხსნიდა ყველაფერს, ნაზარეთიდან დაიწყო. აქვე, ხარების ტაძარში, ჩატარდა პირველი წმიდა წირვა აღთქმულ მიწაზე. ლოცვით მოვიარეთ ტიბერიის ტბა, თაბორის მთა, კაპერნაუმი, გალილეის კანა. შემდგომ გავემგზავრეთ ბეთლემში. საოცარი გრძნობები გეუფლება, როდესაც მიუახლოვდები და ხელით შეეხები იმ ადგილს, სადაც მაცხოვარი დაიბადა. დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი, ჩავედით იერუსალიმს. ამ ქალაქში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევს: აქ უამრავი ტურისტი და მომლოცველია, ერთმანეთშია ირევიან ქრისტიანები, მუსლიმები თუ იუდეველები. ქრისტიანული ეკლესიების გვერდით ხედავთ სინაგოგასა და მეჩეთს. ყოველ ნაბიჯზე გრძნობ ამ ქალაქის მნიშვნელობას, ხანდახან ისიც კი გეჩვენება, რომ ის ყველაფერი, რაც სახარებაშია აღწერილი, შენს თვალწინ მოხდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჯვრის გზა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ გზაზე ყველა ჩვენთაგანს განსაკუთრებული განცდები დაეუფლა. აქ ნათლად აღიქვამ იმ ტკივილს, რასაც იესო განიცდიდა, თავად შეიგრძნობ ჯვრის სიმძიმეს. საოცარი გრძნობა გეუფლება, როდესაც უახლოვდები გოლგოთის მთას, სადაც უფალი ჯვარს აცვეს. აქ, ამ ადგილას, მუხლებზე დამხობილი და თვალცრემლიანი ვევედრებოდი უფალს, მოეტყეებინა ჩვენი ცოდვები.

ჩვენი მომლოცველობის უმაღლესი წერტილი იყო წმიდა წირვა, რომელიც ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ადავლინა უფლის საფლავსა და აღდგომის ადგილას. ჩვენ წილად გვხდა ბედნიერება, აქ გველოცა ნახევარი საათის განმავლობაში და ზიარება მიგველო.

წმინდა მიწაზე ყოფნამ მომლოცველებს გაგვიძლიერა რწმენა და უფრო დაგვაკავშირა ერთმანეთთან.

მინდა ყოველ მომლოცველს დიდი მადლობა გადაუხადო და შევთხოვო უფალს მათი ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე.

ნანა ოქროაშვილი

მოწოდებულთა შეხვედრა ორპირში

„ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანმა იფიქროს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს“, – ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენი შეხვედრა მამა აკაკის ჭელიძესთან. მან ისაუბრა საეკლესიო საიდუმლოებებზე და, განსაკუთრებით ნათლობაზე: „ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება. ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრი დაედება“ (მარკ 16, 16).

რატომ ინათლება ჩვილი ბავშვი, ამ საიდუმლოს ხომ შეგნებული და თავისუფალი მიდგომა სჭირდება? აღმოვაჩინოთ ზრდასრულ ასაკში ბავშვობაში მიღებული საიდუმლოს სინამდვილე, რაც ჩვენშია და გავაცოცხლოთ ის ჩვენი შეგნებული და თავისუფალი მიღებით. ღმერთი ისე არავის ექცევა, როგორც თოჯინებს, ასევე ადამიანიც სხვა ადამიანს არ უნდა მოექცეს ისე, როგორც თოჯინას (გადანათვლის პრობლემა), ამიტომ ყველა ადამიანს უფლება აქვს, თავისუფალი ნებით, ძალდაუტანებლად მიიღოს გადაწყვეტილება. რწმენას ხომ

ნათლობით ვიღებთ, – ეს იყო მთავარი აზრი, რაც მამა აკაკის სურდა ჩვენთვის გადმოეცა.

ამ შეხვედრას მამა აკაკისთან ერთად უძღვებოდნენ მონაზვნები კორინა, ჰორომიკა და ჟოზეფინა. ჩვენ შეკრებილნი ვიყავით საქართველოს სხვადასხვა საკრებულოებიდან: თბილისი, გიუმრი, ვალე, ახალციხე, ქუთაისი, ახალშენი და ტურცხი. ყველას ერთი სულისკვეთება და ერთი რწმენა, ასევე, უფრო მეტის გაგების სურვილი გვაერთიანებდა.

შეხვედრა 24-დან 27 ოქტომბრამდე გაგრძელდა. ყველანი კმაყოფილნი დავრჩით აქ გატარებული დღეებით. მადლობელნი ვართ ჩვენი მოძღვრისა და მონაზვნებისა, რომლებმაც ბევრი რამ გვასწავლეს და ჩვენთვის მრავალი ბუნდოვანი საკითხი ნათელი გახადეს.

გმადლობთ ამ დღეებისა და იმ ცოდნის გაზიარებისათვის, რაც აქამდე ჩვენთვის მიუწვდომელი იყო!

**ამალია ბაღდასარიანი
მაია დიდიმამიშვილი**

დღესასწაული ახალციხის საკრებულოში

ახალციხეში კათოლიკეთა ტაძრები საუკუნეების წინათ აიგო, მაგრამ ახლა მათგან მხოლოდ ნაანგრევებიღაა შემორჩენილი. ამჟამად ახალციხელი კათოლიკეები სამლოცველო სახლში იკრიბებიან და იქ აღასრულებენ წმიდა წირვებსა თუ საეკლესიო საიდუმლოებებს. ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ესაა დღევანდელი რეალობა. მაგრამ ეკლესია, ხომ ჩვენ ვართ – „ცოცხალი ქვები“ და თუ მკვიდრად და რწმენით ვიქნებით შეკრებილნი დრო-ჟამის სიავე ვერას დაგვაკლებს და ისევ ისეთი ძლიერნი ვიქნებით, როგორც ჩვენი მამა-პაპა იყო საუკუნეების წინ.

ახლადაღორძინებული ახალციხის საკრებულო კი უკვე მეშვიდედ ზეიმობს თავისი ეკლესიის სახელობის დღესასწაულს და გულგაშლილი ეგებება ახლომახლო რაიონებიდან თუ შორიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც ახალციხელთა სიხარულს იზიარებენ. სამხრეთ საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა, რომ ამ რეგიონის კათოლიკეებმა მოილოცონ სხვადასხვა ტაძრები და ეკლესიები – ისინი, რომლებიც ამა თუ იმ დღესასწაულს ზეიმობენ. მომლოცველობა, როგორც წესი, ფეხით სვლით სრულდება და მასში დრმად მოხუცებიც კი მონაწილეობენ, რაც, ჩემი აზრით, მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს ახალგაზრდებისთვის.

არც ამ დღეს დაარღვიეს კათოლიკეებმა თავიანთი ტრადიცია და უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი ახალციხის საკრებულოს სამლოცველო სახლში. დედაქალაქიდან ჩამოვიდნენ კამილიელი მოძღვრები და მონაზვნები, სემინარისტები და საქართველოს ყველა კათოლიკისათვის გამორჩეულად საყვარელი სტუმარი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

ჩამოსულ სტუმრებს მამა ზურაბ კაკაჩაშვილი მასპინძლობდა. მან მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს, მათ, ვინც ახალციხის საკრებულოს ზეიმი გაითავისა და მონაწილეობა მიიღო მათ დღესასწაულში. წირვა ეპისკოპოსმა აღავლინა. მან ისაუბრა ქრისტიანის ცხოვრებაში ღმრთისმშობლის უდიდეს მნიშვნელობაზე და ყველას ლოცვისაკენ მოუწოდა, მხოლოდ ლოცვით მივალწევთ ყველაფერს და აღმოვფხვრით იმ ნაკლოვანებებს, რაც ჩვენს საკრებულოებს გააჩნია.

მასპინძლებმა მადლობა გადაუხადეს ზეიმზე ჩამოსულ სტუმრებს, განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს ეპისკოპოსის იმ მზრუნველობისათვის, რასაც იგი საქართველოს კათოლიკური საკრებულოების,

განსაკუთრებით კი – ახალციხის საკრებულოს მიმართ იჩენს. იმედი გვაქვს, რომ მისი მზრუნველობის შედეგად, ჩვენთანაც მალე დაიწყება ეკლესიის მშენებლობა.

საზეიმო განწყობამ მოკრძალებულ სუფრაზე გადაინაცვლა, სადაც სტუმარ-მასპინძელს საშულება ჰქონდა ერთმანეთისათვის საკუთარი გრძნობები გაეზიარებინა.

იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ წელს, ღმრთის შეწევნით, ჩვენი საკრებულოს დღესასწაულს უფრო დიდი რწმენითა და ამადლებული გრძნობით შევხვდებით ეკლესიაში და არა სამლოცველო სახლში.

ელზა ზუბაშვილი

თბილისის წმ. პერე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესია 130 წლისაა

მე-19 საუკუნეში თბილისში კათოლიკეები ისე მომრავლდნენ, რომ მარიამის ზეცად აღყვანების ეკლესია მათ უკვე ვეღარ იტევდა, – საჭირო გახდა მეორე ეკლესიის აშენება.

ახალი ეკლესიის აგების ინიციატორი იყო პოლონელი მამა მაქსიმილიანე ორლოვსკი. მისი მცდელობა, მიეღო ადგილობრივ ხელისუფალთაგან თანხმობა ეკლესიის მშენებლობაზე, წარმატებით დასრულდა. მეფის ნაცვალმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა და ახალ კუკიაზე, წმ. ნიკოლოზის ქუჩაზე, ეკლესიის ასაშენებლად 400 საუენი ფართობი მიწის ნაკვეთი გამოიყო.

1867 წლის მარტში დაიწყო მშენებლობა, რომელსაც, თბილისის კათოლიკეთა სინოდის გადაწყვეტილებით, სათავეში ჩაუდგა კათოლიკეთა მრევლის მამასახლისი, შტაბს-კაპიტანი სტეფანე ზუბალაშვილი. ეკლესიის პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ალბერტ ზალცმანმა, რომელიც, ამავე დროს, დაინიშნა მშენებლობის უფროსად. ტაძარი ძირითადად შემოწირულობათაგან აშენდა. ეკლესიის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა თავადებმა: ი. თუმანიშვილმა, კ. ერისთავმა და ქართველმა კათოლიკეებმა. ძირითადად კი თანხებს პოლონელი გენერლები, თავადები და კავკასიის ტერიტორიაზე სამხედრო ქვედანაყოფებში მომუშავე ოფიცრები გზავნიდნენ.

ტაძრის მშენებლობა 10 წლის მანძილზე გაგრძელდა. მისი საზეიმო კურთხევა 1877 წლის 16 ოქტომბერს აღესრულა. ტაძარი წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს სახელზე ეკურთხა. ასე რომ, ამა წლის 16 ოქტომბერს ჩვენს ეკლესიას 130 წელი შეუსრულდა.

ეკლესიის პირველი მღვდელი გახდა მაქსიმილიანე ორლოვსკი. მამა მაქსიმილიანე დაიბადა 1807 წელს, პოლონეთში. თბილისში ჩამოვიდა, როგორც რომის კათოლიკე ეკლესიის ინსპექტორი კავკასიაში. 1853 წელს დაინიშნა საპატიო კანონიკოსად. იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით. მამა მაქსიმილიანე გარდაიცვალა 1891 წელს, დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე.

მისი გარდაცვალების შემდეგ მღვდლად დაინიშნა იოზეფ ბარანოვსკი. მასთან ერთად ტაძრის მმართველთა შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე პოლონელი გენერალი.

1894 წელს ეკლესიის მმართველების მიერ გაიგზავნა შეკვეთა ორდანი ლეოვის საორდანი ფაბრიკა „პარმონიაში“ (ორი კლავიატურით, პედლებით და 14 რეგისტრით). ორდანი რკინიგზით გამოიგზავნა სადგურ რადზიმილიდან ოდესამდე, შემდეგ გემით ბათუმამდე, იქიდან კი – მატარებლით თბილისამდე.

ამავე მმართველობის მონდომებით, 1897 წელს, ეკლესიას დააშენეს გუმბათი. კედლები შეიღეს, ააგეს ლითონის კონსტრუქცია – ბაღდახინი – „კონფესია“ – რომის წმ. პეტრეს ბაზილიკაში დადგმული ბრინჯაოს ნაგებობის

მსგავსად. კაკლის ხისაგან გაკეთდა ამბიონი – ამაღლებული ადგილი მღვდელმთავრისათვის.

1906 წელს, საქართველოში ცნობილმა იტალიელმა მშენებელმა და მოქანდაკემ, მარმარილოს სახელოსნოთა მფლობელმა ანჟელო ანდრეოლეტიმ, იტალიური და ქართული თეთრი მარმარილოსაგან ეკლესიას დაადგა ორი გვერდითა გუბათი. მოზაიკური იატაკიც მისი ხელოვნების ნაყოფია. გალავანი აგებულია 1891 წელს ქართველი კათოლიკე ვაჭრის ივანე ჯიმშერაშვილისა და მისი ოჯახის სახსრებით.

ამ სახითაა შემონახული ჩვენი ეკლესია დღემდე...

ცნობებს წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების ეკლესიაში მოღვაწე მღვდლების შესახებ შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.

მასალა მოამზადა ნადია ჩიტაძემ

მირონცხება ვალეში

ოთხ ნოემბერს ვალეს პირველი თოვლი ესტუმრა. ამ თოვლიან და ქარიან დღეს, ვალეს კათოლიკურ ეკლესიაში დიდი ფუსფუსი იყო. ოცი ახალგაზრდა სულმოუთქმელად ელოდა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მობრძანებას, რათა მირონცხების საიდუმლოს ზიარებოდნენ. მამა ჯუზეპე სამ მონაზონთან ერთად გვესტუმრა. მონაზვნები „წმ. ნინოს“ სახელობის ორდენს ეკუთვნიან და გაზაფხულიდან ჩვენს რეგიონში დაიწყებენ მოღვაწეობას. ამ დღეს ჩვენთან ერთად იყვნენ მამა იეჟი შიმეროვსკი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი და მამა მაჩეი მამაი. ისინი ახალგაზრდებს საბოლოო მითითებებს აძლევდნენ.

წმ. წირვა სული წმიდის მოხმობით დაიწყო. მამა ზურაბი მიესალმა ეპისკოპოსს და დანარჩენ სტუმრებს და კმაყოფილება გამოთქვა მათი ჩამობრძანების გამო. ახალგაზრდები მოწმებთან ერთად აღელვებულნი ელოდნენ ამ დიდი საიდუმლოს მიღებას.

ეპისკოპოსმა თავის ქადაგებაში ახალგაზრდებს განუმარტა, რომ მირონცხების (კონფირმაციით) საიდუმლოს წყალობით ისინი ხდებიან ეკლესიის წევრები, ამიტომ ისინი ყოველთვის უნდა იყვნენ ეკლესიაში და ემსახურონ მას, – ისინი „ეკლესიის ჯარისკაცებად“ უნდა იქცნენ. წირვა იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ ზოგი მორწმუნის თვალზე ცრემლი კიაფობდა.

წირვის დასასრულს ახალგაზრდებმა მადლობა გადაუხადეს ეპისკოპოსს და სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

თამრიკო ჩიტაძე

ეკუმენური გვერდი

„უნდა შევიწყნაროთ მრავალფეროვნებას, რათა შევძლოთ ვიყოთ ურთიერთშემავსებლები“

რომსა და კონსტანტინოპოლს შორის 1054 წლის ურთიერთგანკვეთის გაუქმება მოხდა ორმოცზე მეტი წლის წინათ, 1965 წლის 7 დეკემბერს. ეს ურთიერთგანკვეთა თავის დროზე პიროვნული საკითხი იყო და ის არ შეხებია საქართველოს, არამედ მხოლოდ რომის იმპერიის ორ დიდ პატრიარქს. საბედნიეროდ, ქრისტესმიერმა სიყვარულმა საბოლოოდ გადაადგმევინა კონსტანტინოპოლის პატრიარქს ათენაგორა I-სა და რომის პაპს პავლე VI-ს ამ მსჯავრის გასაუქმებელი ნაბიჯი: დაადანაშაულო შენი ძმა, ნიშნავს წახვიდე სახარების წინააღმდეგ. ისტორიის მანძილზე საქართველოს ეკლესიის

საჭეთმპყრობელთა კეთილმოსურნე დამოკიდებულება რომის მიმართ გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესიას არაფერი ესაქმებოდა ამ დავაში. მხოლოდ ზოგიერთი ფანატიკოსი ცდილობს დღეს ორ და-ეკლესიას შორის სიძულვილისა და განხეთქილების აღძვრას.

იგივე ფანატიკოსები გაჰყვირიან ფილიოკვეს პრობლემის შესახებ, – ფილიოკვესი, რომელიც საუკუნეების მანძილზე საკამათო საკითხი იყო და რომელზეც ამჟამად კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა დიალოგის კომისია მუშაობს შეთანხმების მისაღწევად. ისტორიის მანძილზე მრავალჯერ დაიდო თეოლოგიური შეთანხმებები აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებსა და რომის კათოლიკე ეკლესიას შორის, მაგალითად ლიონის (1274 წ.) და ფლორენციის (1439 წ.) კრებებზე, მაგრამ ეს შეთანხმებები არ ყოფილა შემდგომში ყველა ეკლესიის მიერ მიღებული, ეკლესიის ერთობის მოწინააღმდეგე ძალების გავლენის გამო.

არაერთი გვერდია საჭირო ამ საკითხზე დაწვრილებით სასაუბროდ. თავიდანვე უნდა ვადიაროთ, რომ ყოველდღეობა სამება წარმოადგენს საიდუმლოს, საიდუმლოს ღმრთისა თავის თავში, რომ საჭიროა თაყვანისცემა და თუკი ვამბობთ მასზე რამეს, მხოლოდ და მხოლოდ ძრწოლით. ძირითადად ეკლესიები თანახმა არიან წმიდა სამების რწმენის იმ აღსარებაში, რომელიც გამოითქვა კონსტანტინოპოლის კრებაზე (381 წ.):

„კათოლიკე ეკლესია აღიარებს 381 წლის კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაზე აღიარებული რწმენის სიმბოლოს კრებისეულ, მსოფლიო, ნორმატიულ და შეუცვლელ ღირსებას, როგორც ეკლესიისა და ყოველი ქრისტიანის ერთადერთი საერთო რწმენის გამოსატყულებას. ადგილობრივი ეკლესიების ლიტურგიული ტრადიციების არც ერთი მრწამსი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რწმენის ამ გამოსატყულებას, რომელსაც ასწავლის და აღიარებს განუყოფელი ეკლესია,“ – ამბობს ვატიკანის დოკუმენტი (1995 წლის 13 სექტემბერი).

უთანხმოება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ბერძნულსა და ლათინურში სიტყვას „გამოვალს“ არა აქვს ერთნაირი მნიშვნელობა. ბერძნულად ეს სიტყვა ნიშნავს „აქვს საწყისი, წყარო“, ლათინურში კი ნიშნავს „მოდის ჩვენთან (მოგვეწოდება)“. წმ. მაქსიმე აღმსარებელი მშვენივრად ჩასწვდა ამ განსხვავებას და დაამტკიცა, რომ სწორედ ლათინური პოზიცია არის მართლმადიდებლური (იგი აღიარებულია წმიდანად ორივე ეკლესიაში). გრიგოლ პალამამაც წარმოადგინა ამ ურთიერთობის მსგავსი ინტერპრეტაცია თავის ზოგიერთ ნაშრომში. მაგალითად, 1351 წლის *აღსარებაში* ამბობს, რომ სული წმიდას „მამა ჰყავს საფუძვლად, წყაროდ და მიზეზად“, მაგრამ „დავანებულია ძეში“ და „მოვლინებულია, ანუ გამოვლინებულია, ძისაგან“. ღმრთაებრივი ტრანსცენდენტული ენერჯის პერსპექტივით „სული იღვრება მამისაგან ძის მიერ, და თუ თქვენ გნებავთ, ძისგან, ყველა იმათზე, ვინც ამის ღირსია“, – ამბობს ღმრთისმეტყველი.

ლათინური ტრადიციის ადამიანისათვის თქმა იმისა, რომ სული წმიდა გამოვალს „მამისაგან და ძისაგან“ (*Filioque*) და არა მხოლოდ მამისაგან, არ წარმოადგენს დამატებას, არამედ აუცილებელ დაზუსტებას, რათა შეცდომაში არ შევიდნენ, რადგან სწორედ იესო ქრისტეა ის, ვინც გვიგზავნის სული წმიდას.

იესო ამბობს: „სული, რომელიც გამოვალს მამისაგან“ (იოან. 15, 26), მაგრამ ამის თქმისას არ აზუსტებს თავის საკუთარ როლს ამ გამომავლობაში; არადა, იგი ორჯერ იმეორებს „მე მოგივლენთ მას“ (იოან. 15, 26 და 16, 7) და განმარტავს: „ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით, (სულიწმიდა) ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყობთ-მეთქი“ (იოან. 16, 15).

მაგრამ ამით არ ამოიწურება წმ. წერილის არგუმენტები: წმ. პავლე ლაპარაკობს ქრისტეს სულზე ისევე, როგორც ღმრთის სულზე: „ღმრთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის“ (რომ. 8, 9). იგი სულიწმიდას უწოდებს „ძის სულს“ (გალ. 4, 6) და „იესო ქრისტეს სულს“ (ფილიპ. 1, 19). განმარტება მარტივია: სულიწმიდა არის სიყვარული მამისა და ძისა, იგია მათ შორის თანაზიარება, იგია ამბორი სიყვარულისა მამისა და ძეს შორის. ამიტომაც, სული წმიდაა სამების სხვა ორი ღმრთაებრივი პირის მარადიული გაცვლა. გაცვლა, ამბორი, სრულყოფილი სიყვარული გულისხმობს ორ პიროვნებას, არა მხოლოდ ერთაგან ერთს. სულიწმიდა ცეცხლია სიყვარულისა, რომელიც იღვრება მამისა და ძის ურთიერთობისაგან. ეს ის მარადიული სიყვარულია ჩვენს გულებში რომაა შთაღვრილი: პავლე მოციქული ამბობს, რომ „ღმერთმა (მამამ) მოავლინა ჩვენს გულებში თავისი ძის სული“ (გალ. 4,6).

იოანე წერს გამოცხადების წიგნში: „ანგელოზმა მიჩვენა სიცოცხლის წყლის მდინარე, ბროლივით კრიალა, რომელიც ღმრთისა და კრავის ტახტიდან მოედინებოდა“ (გამოცხ. 22, 1). იგი იყენებს იგივე ბერძნულ ზმნას, რომლითაც იესო ამბობს, სული მამისაგან „გამოვაღს“. „ღმერთი“ აღნიშნავს მამას, „კრავი“ – იესოა, „კრავი ღმრთისა, რომელმან აღიღო ცოდვანი სოფლისანი“ (იოან. 1, 29 და 36); და რას ნიშნავს ეს „სიცოცხლის წყლის მდინარე“, საერთო ტახტიდან რომ მოედინება? თავად წმიდა იოანე გვაძლევს ამაზე პასუხს: „მისი წიაღიდან იდინებენ ცოცხალი წყლის მდინარეები. ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ“ (იოან. 7, 38-39). მაშასადამე სული წმიდა ღიასაც, რომ „გამოვაღს“ მამისა და ძის ტახტიდან. თქმა იმისა, რომ იგი **მხოლოდ და მხოლოდ** მამისაგან გამოვაღს, ნიშნავს დაუპირისპირდე ბიბლიას. განა ეს არაა ის, რასაც აღმოსავლეთის მამები ამტკიცებენ, და რომელთაც ურჩევნიათ თქვან, რომ სული წმიდა გამოვაღს „მამისაგან ძის მიერ“?

დასასრულ, ეს ორი გამოთქმა ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს. ორ თარგმანსა და ტრადიციას შორის ამ გარჩევის დავის საგნად ქცევა ნიშნავს შეურაცხველ ქრისტესმიერი სიყვარული და ეძიო მიზეზი გაყოფისა და შფოთის დასათესად. ჩვენ არა გვაქვს უფლება თავს დავესხათ და ბრალდებები წავუყენოთ ერთმანეთს ამ საკითხში, მაშინ, როცა მილიარდობით არაქრისტიანი ადამიანი შემოგვეყურებს. ქრისტესაგან დაარსებული ეკლესია უნდა იყოს ერთიანი, მიუხედავად განსხვავებულობისა, რადგან ასეთი ინება ის უფალმა და ილოცა მისთვის: „რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი — შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს სოფელმა, რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთში რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, იყოს მათში და მე მათში ვიყო“ (იოან. 17, 21-26). და გვაქვს კი უფლება ვიქცეთ ქრისტეს მტრებად უარის თქმით ამ ერთობაზე სიყვარულში, რომელიცაა სული წმიდა? გვაქვს კი უფლება დაყოფის გამო ხელი შევუშალოთ სხვებს, რათა ირწმუნონ იესო? უნდა შევიწყნაროთ მრავალფეროვნება, რათა შევძლოთ ვიყოთ ურთიერთშემავსებლები.

პიერ დიუმულენი

რომის პაპ პავლე VI-ისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქ ათენაგორა I-ის

ერთობლივი განცხადება



პაპ პავლე VI-ისა და პატრიარქ ათენაგორას ერთობლივი განცხადება გამოსატავს 1054 წლის განკვეთის განაჩენთა მესხიერებიდან და ეკლესიიდან განგდების ზიარ გადაწყვეტილებას. ეს ერთობლივი განცხადება წაკითხულ იქნა ვატიკანის II კრების საზეიმო სხდომაზე მონს. ჟან ვილბერანდის მიერ. იმავდროულად ტექსტი წაკითხულ იქნა წმიდა სინოდის მდივნის მიერ ფანარის საკათედრო ტაძარში.

1. ღმრთისადმი მადლიერებით გამსჭვალულთ იმ მადლისათვის, რაც მან თვის გულმოწყალებაში მიჰმადლა წმიდა ადგილებში ძმური შეხვედრით, იქ, სადაც უფალ იესოს სიკვდილითა და აღდგომით აღსრულდა საიდუმლო ჩვენი დახსნისა და სული წმიდის მოფენით იშვა ეკლესია, პაპ პავლე VI-სა და პატრიარქ ათენაგორა I-ს არ გამორჩენიათ მესხიერებიდან ის ჩანაფიქრი, რაც იქ ჩაისახეს, ანუ თითოეულმა თავის მხრივ არ უგულებელჰყოს, ამიერიდან, არავითარი ღმრთიური სიყვარულით შთაგონებული ქმედება, რაც ხელს შეუწყობს ძმური ურთიერთობის განვითარებას, რომელიც ამგვარად დაიწყო რომის კათოლიკე ეკლესიასა და კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ამგვარად ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ პასუხობენ ღმრთაებრივი მადლის მოხმობას, რომელსაც დღეს მიჰყავს რომის კათოლიკე ეკლესია და მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე, როგორც ყოველი ქრისტიანი, უთანხმოებების დაძლევისაკენ, რათა იყვნენ კვლავ „ერთი“, როგორც უფალი იესო ევედრა მათთვის მამას თვისსას.
2. იმ დაბრკოლებათა შორის, რომლებიც გვხვდება ამ ძმური ნდობისა და პატივისცემის ურთიერთობების განვითარების გზაზე, არის ხსოვნა იმ გადაწყვეტილებებისა, ქმედებებისა და სამწუხარო ინციდენტებისა, რაც 1054 წელს გადაიზარდა განკვეთის განაჩენში, კარდინალ ჰუმბერტის მეთაურობით რომის საყდრის ლეგატების მხრიდან პატრიარქ მიქაელ კერულარიუსისა და სხვა ორი პირის წინააღმდეგ, და თავად ამ ლეგატების მსგავს განკვეთაში პატრიარქისა და კონსტანტინოპოლის სინოდის მხრიდან.
3. არ შეიძლება არ ვაღიაროთ ის, რაც ამ ქმედებებმა გამოიწვია ისტორიის ამ განსაკუთრებით შფოთიან ხანაში. მაგრამ დღეს, როდესაც უფრო წყნარად და გაწონასწორებულად შევაფასებთ მათ, აუცილებელია ვაღიაროთ ის გადაჭარბებანი, რაც მათ ლაქად დარჩათ და რამაც შემდგომში გამოიღო უმძიმესი შედეგები, ისევე, როგორც შეგვიძლია შევაფასოთ მათი ავტორების განზრახვანი და მოლოდინი, რომელთა განაჩენი მიმართული იყო კონკრეტული პირების მიმართ და არა ეკლესიებისადმი, და არ გულისხმობდნენ ეკლესიური თანაზიარების გაწყვეტას რომისა და კონსტანტინოპოლის საყდრებს შორის.
4. ამის გამოა, რომ პაპი პავლე VI და პატრიარქი ათენაგორა I, თვისი სინოდით, სამართლიანობის საერთო წყურვილისა და თავიანთ მორწმუნეთა ქრისტესმიერი სიყვარულის ერთსულოვანი გრძნობის გამოსახატავად, უფლის მცნების გახსენებით: „თუ მიიტან შენს ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს მიმართ, მიატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან

და წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი, მერე მოდი და შესწირე შენი ძღვენი“ (მათ. 5, 23-24), თანხმობით აცხადებენ, რომ:

ა) სწუხან იმ შეურაცხყოფელი სიტყვებისათვის, უსაფუძვლო გაკიცხვებისათვის და დასავგობი ქმედებებისათვის, რომლებმაც, ერთი და მეორე მხრიდან, დადი დაასვეს ან აჩრდილად გაჰყვნენ იმ ეპოქის სამწუხარო მოვლენებს;

ბ) სწუხან ასევე და განაძეგებენ მეხსიერებიდან და ეკლესიიდან იმ განკვეთის განაჩენებს, მათ რომ მოჰყვა, რომელთა ხსოვნაც დღევანდელ დღემდე ხელს უშლის სიყვარულში ურთიერთდაახლოებას, და დავიწყებას აძლევენ მათ.

გ) დაბოლოს, გმობენ შემდგომი მოვლენების სამწუხარო პრეცედენტებს, რომლებმაც, სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის ურთიერთგაუგებრობისა და უნდობლობის გამო, საქმე მიიყვანა ეკლესიური თანაზიარების ფაქტიურ გათიშვამდე.

5. პაპ პავლე VI-სა და პატრიარქ ათენაგორა I-ს, თვისი სინოდით, ესმით, რომ სამართლიანობისა და ურთიერთშენდობის ეს ქმედება ვერ იქნება საკმარისი ძველ თუ ახალ უთანხმოებათა აღმოსაფხვრელად, რაც არსებობს რომის კათოლიკე ეკლესიასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის და, რომ ისინი დაძლეულ იქნება სული წმიდის მოქმედებით, გულთა განწმედის, ისტორიულ უსამართლობათათვის სინანულისა და სამოციქულო რწმენისა და მის მოთხოვნათა შეგნებისათვის ქმედითი ნების წყალობით.

ისინი მაინც იმედოვნებენ, რომ ეს ნაბიჯი სათნო იქნება ღმრთისათვის, რომელიც მუდამ მზადაა მოგვიტევეს, როდესაც კი ჩვენ მივუტევეთ ერთუროს, და, რომ დაფასებულ იქნება მთელი საქრისტიანოსაგან, განსაკუთრებით კი კათოლიკე ეკლესიისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლიობისაგან, როგორც გამოხატულება შერიგების წრფელი ორმხრივი ნებისა და მოხმობა ურთიერთდობის, პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით იმ დიალოგის წარმართვისაკენ, რომელიც, ღმრთის შეწევნით მიგვიყვანს, ხელახლა ვიცხოვროთ, სულთა უმეტესი სიკეთისა და ღმრთის სუფევის დადგომისათვის, რწმენის სრულ თანაზიარებაში, ძმურ და საიდუმლოებრივ თანხმობაში, რაც არსებობდა მათ შორის ეკლესიის ცხოვრების პირველ ათასწლეულში.

1965 წლის 7 დეკემბერი

მისი უწმიდესობის, კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და მსოფლიო პატრიარქის, ბართლომეს მედიტაცია

“ქრისტეს ნათელი ყველას ანათებს! განახლების და ერთიანობის იმედი ევროპაში“

*სიბიუ, 5-9 სექტემბერი, 2007
ევროპის III ეკუმენური ასამბლეა
გახსნის პლენარული სესია*

განვადიდოთ ღმერთი ყოვლისშემძლე და სამსახიერი, რომელმაც ყველას – აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, მთელი ევროპის ისტორიული კონტინენტიდან წამოსულებს – მოგვცა საშუალება ყველა ქრისტიანული ეკლესიის III ასამბლეაზე შეგკრებილიყავით და „ერთი ბაგითა და

ერთი გულით“ ხოტბა შეგვესხა მისი უწმიდესი სახელისადმი და დაგვემოწმებინა ერთიანობა ქრისტე იესოში.

განვადიდოთ ყოველისშემძლე ღმერთი, რადგან ჩვენი უფლის, ღმრთისა და მაცხოვარი იესო ქრისტეს მეშვეობით წარუძღვა ჩვენს ნაბიჯებს და ჩვენს ფიქრებს ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე, რათა ახალი ევროპის შექმნის მიზნით გაძლიერებულიყო ქრისტიანულ ეკლესიათა შორის საგულისხმო ეკუმენური მოძრაობა და მჭიდრო თანამშრომლობა ყველა ქრისტიანულ ეკლესიას შორის. იმთავითვე, გვსურს გავისხენოთ ევროპის ქრისტიანული საფუძველი და სახარებისეული უწყების სინათლე, რომელიც აღმოსავლეთით დასავლეთამდე იქადაგეს, და რამაც საძირკველი ჩაუყარა ევროპული იდენტურობის და ცივილიზაციის ტრადიციას დღევანდელობამდე, თუნდაც ამას მავანნი უარყოფდნენ.

დღეს, როგორც ევროპის ყველა ქრისტიანული ეკლესიის წევრები და წარმადგენლები, ჩვენ მშვენიერ და მდიდარი ისტორიის მქონე ქალაქ სიბიუში ვიმყოფებით. ქალაქს ამასთანავე მიანიჭეს პრივილეგია და იგი 2007 წელს ევროპის კულტურულ დედაქალაქად გამოაცხადეს.

მაგრამ დღეს ჩვენს სიხარულს სევდაც ახლავს, ახლახანს გარდაცვლილი ჩვენი საყვარელი ძმის, რუმინეთის პატრიარქის, მისი უწმიდესობის თეოქტისტეს გამო, რომელიც მადლიდან გადმოგვცქერის და კურთხევას უგზავნის ამ მნიშვნელოვან ასამბლეას. გულით ვილოცოთ, რათა აღმდგარმა უფალმა მიანიჭოს მის სულს მართალთა შორის განსვენება.

ვაკურთხებთ და მადლობას ვწირავთ ევროპის ქრისტიანებს ამ წმიდა გზის გამო, რამეთუ მას წინ უძღოდა ქრისტეს ნათელი, მაშინაც როცა ერთი შუქურიდან მეორეზე გადადის; ეს ნათელი გვეხმარება, რომ გამოვარჩიოთ მისი ჯვარცმული გზა საუკუნეთაგან, მეტადრე უამრავ ეკლესიაში ქრისტიანობის დაჯგუფებებში და ქრისტიანულ კონფესიებში, ასევე იმ ძლიერ წყურვილში და განსაკუთრებით, თანაზიარების და ქრისტიანთა შორის ერთიანობის აგების მოვალეობაში.

ქრისტიანულ ეკლესიათა ამგვარი თანამშრომლობა ეკუმენურ დონეზე, სრულებით არ გხლავთ სიახლე, და ეს უფრო გვახარებს, რამეთუ ნაყოფია ქრისტეს ნათლისა და სულიწმიდის ძალისა. მართლმადიდებელი ეკლესია, ეკუმენური პატრიარქის ინიციატივით, საუკუნეზე მეტია მოუწოდებს მართლმადიდებელ ეკლესიებს, ასევე მთელი მსოფლიოს ქრისტეს ეკლესიებს ქრისტიანთა თანაზიარებისა და ერთობის სრულყოფილი აღდგენის მიზნით სათანამშრომლოდ, ასევე განსაცდელში მყოფი კაცობრიობის დასახმარებლად.

გარდა ამისა, ამ მოძრაობაში სპეციფიკური პრობლემები აშკარაა. მრავალგზის შემდგარა გუდღია საუბარი პან-ევროპული ხასიათის ეკუმენურ შეხვედრებზე, სადაც – ქრისტეს ნათლის ძალით და სულიწმიდის გასხივოსნებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები და განხილული დასკვნითი მოსხენებები, რომლებიც შეჯამდნენ და სხვებთან ერთად მოთავსდნენ *ეკუმენური ქარტიაში* (Charta Oecumenica), რომელიც 2001 წლის აპრილში გამოქვეყნდა სტრასბურგში (საფრანგეთი). ყოველივე ამან ევროპული ეკლესიები განსაკუთრებული საქმიანობით ერთმანეთს დააკავშირა და ჩააყენა ქრისტიანთა ერთობის სამსახურში, რომლის საფუძველი ერთი და იგივე რწმენის სიყვარულშია, ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისკენ მიმავალ საერთო გზაზეა, როგორც ნიკეა-კონსტანტინეპოლის II ეკუმენიკურ კრების (381 წ.) მრწამსის შეუცვლელ სიმბოლოშია ჩამოყალიბებული; დააკავშირა იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გამოეხატათ და დაეცვათ ადამიანის, როგორც ღმრთის ხატის ღირსება და იმ მიზნით, რომ ევროპული კონტინენტის მოსახლეობა და კულტურები შეერიგებინათ.

რა თქმა უნდა, მხედველობაში ვიდებთ, რომ *ეკუმენური ქარტია* არ წარმოადგენს ისეთ კონსტიტუციას, რომელიც სუპერ-ეკლესიის შექმნას ისახავს მიზნად, *ქარტია* არც შეუცვლელი ტექსტია. ამ სისუსტების მიუხედავად, ვერ უარყოფთ, რომ ის ეკლესიათა შორის მჭიდრო და საპასუხისმგებლო თანამშრომლობის შედეგია და ასევე ყველა ევროპული ეკლესიის მხრიდან ძლიერი ნების გამოცდაა, რომ გაგრძელდეს, გაიზარდოს და გაძლიერდეს მათი თანამშრომლობა სრულიად ახლებური ევროპის განვითარების კუთხით. *ეკუმენური ქარტია* უპირველესად ქ. გრაცის II ეკუმენური ასამბლეის ნაყოფია და ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია მაშინდელ და ამჟამინდელ ასამბლეებისა, *ქარტია* ასევე არის ფუნდამენტური ტექსტი ევროპის ეკლესიათა შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ყველა ამ მოსაზრებით, III ეკუმენური ასამბლეაზე, *ქარტიის* ტექსტი უნდა გახდეს ბაზისი განსაკუთრებული პრობლემის შესწავლაში: **ქრისტეს ნათელი და ეკლესია, ქრისტეს ნათელი და ევროპა, და ქრისტეს ნათელი და წუთისოფელი.**

სწორი იქნება თუ დეკრეტები დაიწყება ქრისტიანულ ეკლესიათა შორის ერთიანობის მთავარი თემით, და უწინარესად, ეკუმენური მოძრაობის შეუცვლელი და უმთავრესი არგუმენტით. ამ პოზიციიდან დაწყებული, ხაზგასმით განვაცხადებთ, რომ ის რაც მართმადიდებლურ სამყაროს შეეხება, და უპირველესად თავად ჩვენ, სრულიად და უცვლელად გვჯერა, რომ უნდა შევასრულოთ რაც ჩვენ ხელგვეწიფება ეკლესიათა შორის საკრამენტალური და საეკლესიო თანაზიარების სრული აღდგენის წმიდა მოვალეობის კუთხით, იმავე რწმენის სიყვარულზე და პატივისცემაზე დაყრდნობით, რითაც სამოციქულო რწმენა ხორციელდება. იმედით აღვსილნი ველოდებით, რომ III ევროპული ასამბლეა სპეციფიკური და პოზიტიური ღონისძიებებით დასრულდება, და ეკლესიები - ქრისტეს ნათლით გასხივოსნებულნი და ამ ნათლის აღიარებით შეძლებენ იმ ქრისტიანული ერთიანობის ფორმაზე და თვისებაზე შეთანხმებას, რისკენაც ვიღებთ, უწინარესად იმიტომ, რომ დღეს ძირითად დაბრკოლებად გვესახება სწორედ ქრისტიანული ეკლესიების განსხვავებული შეხედულება ეკუმენური მოძრაობის მიზნებზე და ამოცანებზე.

ჩვენი უფლის უკანასკნელი ღოცვა, როგორც მოცემულია იოანე მახარობლის სახარების მეჩვიდმეტე თავში, ჩვენთვის ერთგვარი საზომი და მიზანია, ასევე ნანატრი და ნასურვები ერთიანობის ფორმაა: **“მე მხოლოდ ამათზე არ გევედრები, არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მოწამენი იქნებიან თავიანთი სიტყვით. რათა ყველანი ერთ იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი - შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩემში, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე”** (იოან. 17,20-21). ტერმინი „როგორც“ მიანიშნებს ქრისტიანულ ერთიანობის და თანაზიარების აღსადგენ მოდელს, რომელიც არის სამსახიერი ღმერთის სამ ღვთიურ პირთა შორის თანაარსებობის ფორმა და ცხოვრება. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ეს აღთქმა ისე უნდა აისახოს ჩვენში, რომ წუთისოფელმა იწამოს მისი. ამ ღოცვით მივიღეთ ჩვენ გამოწვევა; სწორედ ასე, ღოცვის, სულიერი ჭვრეტისა და მოვალეობის გზით ვართ ჩაბმულნი ამ აქტიურ საქმეში, რწმენის და მსახურების ერთობლივი დამოწმების მიზნით. ამ გზით ვცდილობთ ეკლესიათა შორის თანაზიარების ხორცშესხმას, ერთობლივად, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით, ნაცვლად იმისა, რომ ვეძებთ საკუთარი ინტერესები ჩვენი ძალაუფლებისა და გავლენის გასაძლიერებლად, ან მოჭარბებული ყურადღება დაგუთმით საეკლესიო ერთადერთობას და ექსკლუზივობას.

ეს გახლავთ ის მიზეზები, რატომაც ვიღწვით ასე თავდაუზოგავად და მხარს ვუჭერთ ნებისმიერ ეკუმენურ დიალოგს, თანაბარ პირობებში, რატომაც მივიჩნევთ მას სრულიად აუცილებლად, მაშინაც კი, როცა ჩვენს შორის

ვითარება იძაბება, რადგანაც დიალოგის გარეშე შეუძლებელია შემრიგებლობისა და საბოლოო მიზნების მიღწევა.

მხოლოდ გულწრფელი და ობიექტური დიალოგის მეშვეობით შევძლებთ დახმარება გავეწვიოთ ევროპის ხალხთა შორის თანაზიარების და შემრიგებლობის განვითარებას, სადაც ქრისტიანული პრინციპები და ფასეულობები ქრისტიანობის სულიერი მემკვიდრეობის საფუძველზე გაბატონდება. სწორედ მაშინ განვაცხადებთ, რომ ქრისტეს ნათელი ჭეშმარიტად ყველას ანათებს! თავად იესო გვეუბნება ამას: "მე ვარ ნათელი წუთისოფლისა; ვინც მე მომყვება არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი **„მე ნათელი ვარ წუთისოფლისა, ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას"** (იოან. 8,12)

ამრიგად, ახალი ევროპის ფუნდამენტი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ-პოლიტიკური, ან კულტურული და ეროვნული სივრცით. აი, რატომაც ვუჭერთ მხარს და წვლილი შეგვაქვს ევროპის ჰუმანურ-სოციალურ შექმნის საქმეში, ქრისტეს უშრეტი და მარადიული ნათლით განათებული ევროპისა, სადაც პირველ ადგილზეა ადამიანის უფლებები და მშვიდობის, სამართლიანობის, თავისუფლების, ტოლერანტობის, ურთიერთმონაწილეობისა და თანადგომის ფასეულობები. ასევე მკაფიოდ გამოვყოფთ სიცოცხლის პატივისცემის მნიშვნელობას, ჯვრისწერისა და ოჯახის უზენაეს ღირსებას, უპოვართა დახმარებას და თანადგომას, მიტევებას და გულმოდგინებას (*შრდ. Charta Oecumenica* 68). თუკი ხალხი ვერ დარწმუნდება ჩვენი მოვალეობების შედეგებით, და ის, რომ ადამიანის ღირსება და სპეციფიკური პრობლემები მათი ინტერესის ცენტრში აღმოჩნდება, ვისაც პასუხისმგებლობა მოეკითხება, მაშინ არ იქნება არც ნდობა და არც პროგრესი ახალ ევროპაში.

ჩვენ ურყევად ვდგევართ ამ პრინციპებზე და ამ ქრისტიანულ ფასეულობებზე. ჩვენს თვალწინ გადაიშლება თანამედროვე სამყაროს ძალზე უიმედო რეალობა, სადაც ღირებულებები ერთმანეთშია არეული და სადაც დაუმთავრებელი ჭიდილია ნათელსა და ბნელს შორის. ძლიერ გვაშფოთებს ღმრთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ხვედრი, ყოველდღიურ ცხოვრებაში გათელილი და უარყოფილი; გვაშფოთებს ასევე ოჯახი და მისი გარდაუვალი როლი. გვაწუხებს მშრომელთა ბედი, რომლებსაც მხოლოდ სამომხმარებლო იარაღად იყენებენ. ვშფოთავთ ღმრთის ქმნილების გამო, რომელიც მუდმივად და ურცხვად არის ექსპლუატაციის საგანი; ქმნილება გოდებს, – მიუხედავად იმისა, რომ საფრთხეშია ჩვენი პლანეტაც, – და იმედით მოელის ჩვენი მხრიდან დაცვას და გათავისუფლებას (რომ. 8). ვშფოთავთ კლიმატის და სხვა პირობების გამო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ვშფოთავთ ატმოსფეროს და ჟანგბადის გამო, რასაც დღეღვანდელი ადამიანი სუნთქავს და რასაც მომავალი თაობა, ვშიშობთ, ამოდ დაუწყებს ძებნას; და ბოლოს გვაწუხებს კაცობრიობის გადარჩენის საკითხი ამ კონტინენტზე და მთელს პლანეტაზე.

სხვა რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენს პლანეტაზე და ევროპის კონტინენტებზე, ასე უსწრაფესად რომ ბერდება, ადამიანის თვითგადარჩენის დრამატულ მდგომარეობა გავაცნობიეროთ? არადა მიღწეულისა, სხვა რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ თვალები გავახილოთ და დავინახოთ ქრისტეს ნათელი და გავყვეთ მას, რათა ისევ უკუნში და უვიცობაში არ ჩავვარდეთ? ჩვენ აღარ გვაქვს ლოდინის ან ყოყმანის დრო, ხოლო თუ თვალებს არ გავახელთ, ნებით და უპასუხისმგებლობით, – რაც ყოველად საშიშია, – ჩვენი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ის ნაბიჯი, რაც უმაღლესად უნდა შესრულდეს, არის მონანიება და ცხოვრების სტილის შეცვლა, რაც მონანიების თანმდევია. ქრისტეს ნათელი, რომელიც წინ მიგვიძღვის, ყოველთვის არსებობს; ჩვენი თვალები კი ვერ უყურებენ მას, ვერ

აღიქვამენ და ვერ მისდევენ ნათელს. ჩვენი თვალები გაბატონებულ ორომტრიალს არის შეჩვეული; დე, ვისაც თვალები აქვს, დაინახოს. იესო ქრისტეს მსჯავრი თავისი მოციქულებისადმი, დღესაც ისმის ჩვენს გასაგონად: „თვალები გაქვთ და ვერ ხედავთ, ყური გაქვთ და არ გესმით? და არც გახსოვთ? და კიდევ უთხრა მათ: არგორ ვერ მიხვდით?“ (მარკ. 8, 18-21). ახალი არ არის, ვინც მის მოწაფეებად ითვლებოდა წარმოუდგენელი გზით მიატოვეს იესო, თავად სინათლე, როგორც მახარობელი იოანე ყვება: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს წუთისოფლად მომსვლელ ყოველ ადამიანს. იყო წუთისოფელში და წუთისოფელი მის მიერ შეიქმნა, და წუთისოფელმა ვერ იცნო იგი. თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი“ (იოან. 1, 9-11).

ამდენად, ამ მდგომარეობაში, უწინდებურად ვიმეორებთ ყველას წინაშე, რომ ჩვენ სრულიად უყოყმანოდ, – როგორც პირადად ჩვენ, ასევე ეკუმენური პატრიარქი, და ვიმედოვნებთ ევროპის ყველა ეკლესია, – ჩავდგებით მრავალტანჯული კაცობრიობის სამსახურში, და ჩავდგებით ღვთის ქმნილების სამსახურში, რომელიც ჩვენთან ერთად გოდებს. სხვა აღტერნატივა არა გვაქვს, მზად ვართ წვლილი შევიტანოთ კონსტრუქციულ და გულახდილ დიალოგში. ამ სულისკვეთებით ვიდგებით კურთხევას და მხარს ვუჭერთ იმ წინადადებებს, რაც შიდამართლმადიდებლური წინამოსამზადებელი კონფერენციის დროს შემოგვთავაზეს მართლმადიდებელმა წარმომადგენლებმა, რომელიც გასული წლის ივნისში შეიკრიბა ქ. როდში, ამ ასამბლეის მოსამზადებლად, სადაც შემოვიდნენ წინადადებით, რომ დადგენილიყო ნებაყოფლობითი მარხვის ერთი დღე ყველასთვის, მომავალი პარასკევი, 7 ოქტომბერი, როგორც ხილვადი ნიშანი მართლმადიდებელი ეკლესიისა და ყველა ევროპული ქრისტიანული ეკლესიის საზრუნავზე, იმ მიზნით, რომ გამოვასწოროთ ბუნებისა და გარემოს წინააღმდეგ მიმართული ჩვენი დესტრუქციული და ქედმაღლური საქციელი.

ამჟამად, სრულიად ვაცნობიერებთ ჩვენს საკოორდინაციო როლს მართლმადიდებელ და-ძმათა ერთი მთლიანი მაზიარებელი სხეულის წიაღში და კვლავ მივმართავთ მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომ აიღონ პასუხისმგებლობა დღევანდელ უამზე და ერთობლივი ძალებით იმოქმედონ, როგორც თავიანთი ეკლესიის შიგნით და გარეთ, ასევე სხვა ეკლესიებთან, რომლებიც ქრისტეს სახელის მატარებელი არიან და განსაკუთრებით ევროპის ყველა ეკლესიასთან, და წვლილი შეიტანონ ტანჯული კაცობრიობის იარების მოშუშებაში. თუკი არ მოხდება მჭიდრო და გარდაუვალი თანამშრომლობა და დიალოგი ყველა მართლმადიდებელთან და ყველა ქრისტიანთან, ასევე ყველა პასუხისმგებელ პირთან, ძალოვან და სახელისუფლებლო სტრუქტურებთან – რელიგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა სფეროში – ჩვენი იზოლირებული მოქმედებები თავიდანვე დასაღუპავად იქნება განწირული.

ჩვენ ამას ვაღიარებთ, ვაცხადებთ და ვასრულებთ, რამეთუ ღრმად გვჯერა, რომ ჩვენი წუხილი ყველა ქრისტიანული ეკლესიის წუხილია და ასევე ყველა გონიერი ხალხის - ადგილობრივი, ეროვნული, საერთაშორისო და ევროპის ლიდერების.

აქვე დავძენთ იმისაც, რომ ვაცნობიერებთ და ვადასტურებთ სხვა მონოთეისტური რელიგიების ძირითად ფასეულობებს და პირციპებს, რომლებიც არა მხოლოდ აღგვითქვამენ, არამედ გვადვილებენ ურთიერთპატივისცემაში, და აქედან გამომდინარე, ყველა ერისა და ყველა სარწმუნოებას შორის მშვიდობიან თანაარსებობას გვთავაზობენ. უამრავი რელიგიათაშორისი დიალოგის შედეგები და მითითებები, რომელთაგან მრავალი ჩვენი თაოსნობით და ჩვენი მონაწილეობით შედგა, ცალსახოვნად ჰყვენენ ნათელს ამ ჭეშმარიტებას. ნებისმიერი სხვა მტკიცება ან მოსაზრება -*განსაკუთრებით იმის მტკიცება, რომ რელიგია, ან სულაც ესა თუ ის რელიგია, თავისი პრინციპების და ხასიათის*

გამო ხელს უწყობს რელიგიურ შეუწყნარებლობას, ფანატიზმს, ნაციონალურ ექსტრემიზმს, ძალადობას და ომს -არ შეესაბამება სინამდვილეს. სწორედ ამიტომაც ვიმეორებთ ბოსფორის დეკლარაციის ძირითად პრინციპს, (1994წ.), რომელსაც ხელი ჩვენს გარდა მოაწერა ქრისტიანული, ებრაული და მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლებმა.

ეს დეკლარაცია მკაფიოდ და კატეგორიულად აღნიშნავს, რომ ნებისმიერ დანაშაული, რელიგიის სახელით ჩადენილი, არის რელიგიის წინაშე დანაშაული. ღრმად გვჯერა, რომ განსხვავებული რელიგიის ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება და თანამშრომლობა, არა მარტო შესაძლებელია, არამედ მოსაწონია სამართლისა და მშვიდობის ღმერთის წინაშე. ამრიგად, აუცილებელია სიფხიზლე და ძლიერი შეძმარება, რათა რელიგიური გრძნობა და კეთილგონივრული მიდგომა ამ იდიალებსადმი, არ შეილახოს პოლიტიკურ-ეკონომიური ან სხვა რაიმე სახის ინტერესებით.

შემწყნარებლობის, მშვიდობის და სამართლიანობის გარეშე შეუძლებელია ახალი ევროპული სახლის აგება, ან თუნდაც ნებისმიერი საზოგადოების.

ამ რწმენის საფუძველზე, არა მხოლოდ უნდა ვაუწყოთ ჩვენი სიტყვები, არამედ დავამოწმოთ კიდევ ჩვენი ცხოვრებით, რომ ჩვენ ამ ქვეყნად გავლით ვართ "ვინაიდან არ გაგვაჩნია აქ მუდმივი ქალაქი, არამედ მომავალს ვეძებთ" (ებ. 13,14). დიახ, ახალი ევროპა საზოგადოების ყველა მხარეს გვაჩვენებს, განსხვავებული სოციალური, კულტურული და რელიგიური წარმოშობის ხალხთა გავლის გზით. ყველა ეს ფაქტორი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ახალი საზოგადოების ინსტიტუციური და პოლიტიკური წესდებების გამოცემისას, ურთიერთპატივისცემის და ხალხთა შორის თანასწორობის საფუძველზე, როგორც ამას აღნიშნავდნენ ჩვენი მამები.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ქრისტეს ნათელი ყველა ჩვენგანს ანათებს! ეს აღსარება მართმადიდებელ ეკლესიაში იესო ქრისტე მაცხოვარს აღდგომის ლიტურგიის მომზადების ნაწილია. ქრისტეს ნათელი, სინამდვილეში იგივე მკვდრეთით აღმდგარი ქრისტესი, რომელმაც დაამარცხა ბოროტება და ტანჯვა, სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და ჩვენ აღგვიქვა საუკუნო ცხოვრება.

აი, რატომ ვგალობთ და ვადიდებთ ერთხმად ფსალმუნით: "ყოველივე სავსეა ნათლით - ცა და მიწა და ყოველივე, რაც დედამიწაზეა: დაე, ქმნილებამ ადიდოს ქრისტეს აღდგომა, რომელმაც დაადგინა". ჩვენი რწმენა არის მოლოდინიც და ყოველი ჩვენგანის რწმენა, თვითშეგნება და ყველას მომავალი.

ინტერვიუ

გმადლობ, საქართველო!

28 ოქტომბერს საქართველოს, კერძოდ კი საქართველოს კათოლიკეებს იტალიელ მეგობართა დიდი ჯგუფი ეწვია. ისინი ჩამოვიდნენ, რათა ჩვენთან ერთად გაეზიარებინათ სამოციქულო ადმინისტრაციის შენობის კურთხევის სიხარული. ბევრმა მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა ამ შენობის აგებასა და გალამაზებაში. ზოგი მატერიალურად დაგვეხმარა, რამდენიმე ადამიანი კი თვეების მანძილზე თბილისში იმყოფებოდა და თავის გამოცდილებასა და ჯან-ღონეს არ იშურებდა, რათა შენობა ისეთი სრულყოფილი და ლამაზი აგებულიყო, როგორსაც დღეს ვხედავთ.

იტალიელ სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ ვერონის მთავარეპისკოპოსის თანაშემწე მონსინიორ ჯუზეპე პელეგრინი, ჩვენი ეპისკოპოსის, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს თანაკლასელი და დიდი მეგობარი; მამა ლიდო დაუპა, ჟურნალ „მისიონარიოს“ მთავარი რედაქტორი; მღვდელი რომიდან და მრავალი

ვერონელი საერო პირი. სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს 28 ოქტომბერს, მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში აღვლენილ წმ. წირვაში. წირვის შემდეგ სტუმრები საკათედრო ტაძრის გოგონათა გუნდის „აღილუიას“ კონცერტზე მიიპატიჟეს. კონცერტის დაწყებამდე ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ მადლობა გადაუხადა ჩამოსულ სტუმრებს იმ ღვაწლისათვის, რაც მათ გაიღეს კურიის შენობის აგებასა და კეთილმოწყობაში, მატერიალურად თუ ფიზიკურად; მეუფე ჯუზეპემ, ასევე დიდი მადლიერებით მოიხსენია კურიის შენობის არქიტექტორები, მშენებლები, საქმეთა მწარმოებლები, განსაკუთრებული მადლობა კი გიორგი ცხომელიძეს უძღვნა, რომელმაც მართლაც შეუძლებელი გააკეთა და მრავალი უძილო ღამის ფასად შეძლო თავი გაერთმია მისთვის დაკისრებული სამუშაოსათვის.

კონცერტის შემდეგ ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აკურთხა კურიის შენობა.

მართალია, იტალიელი სტუმრები მხოლოდ ერთი დღით იმყოფებოდნენ საქართველოში, მაგრამ „საბას“ რედაქციის წევრმა ციცილო ხითარიშვილმა მაინც მოახერხა მათთან გასაუბრება. ამ საუბარში ყველა იყო ჩართული, ამიტომ რომელიმე კერძო რესპონდენტის პასუხი არ არის მინიშნებული. ეს თითოეული მათგანის აზრია.

მადლობას მოგახსენებთ საქართველოში ჩამობრძანებისა და ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის. თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით კურიის შენობის დასრულებასა და გაღამაზებაში. ასევე, იმ თბილი სიტყვებისათვის, რომლებიც ქადაგებისას წარმოთქვა მონსინიორმა ჯუზეპე პელეგრინიმ. ალბათ, ბევრი თქვენთაგანი საქართველოში პირველად არ იმყოფება და მასზე, ზოგადად, რაღაც აზი ექნება ჩამოყალიბებული. ხოლო ვინც აქ პირველადაა რა შთაბეჭდილება დატოვა ჩვენმა ქვეყანამ მათზე?

ფრანჩესკა: არაა ადვილი, რამდენიმე წინადადებაში თავი მოუყარო და გამოხატო ის, რასაც საქართველო ჩემთვის წარმოადგენს. გამოვემგზავრე იმის სურვილით, რომ გამეცნო ქვეყანა, რომლის შესახებაც მხოლოდ ის მწირი და მშრალი ინფორმაცია გამაჩნდა, რომელსაც ტურისტული საინფორმაციო ბუკლეტები გვთავაზობენ. თუმცა უცნაური შეგრძნება არ მტოვებდა: რაღაც მეუბნებოდა, რომ მივიღებდი ადრინდელისაგან სრულიად განსხვავებულ გამოცდილებას და შთაბეჭდილებებს. და სწორედ ასე მოხდა – ახლა, თუმცა ჯერ არ გავემგზავრებულვარ, უკვე მეწყება ძლიერი მონატრების განცდა; მომენატრება სახეები, სიტყვები, ქმედებები იმ ადამიანებისა, რომლებსაც აქ შევხვდი. რთული იქნება დაივიწყო ის სიღარიბე, რომელიც თბილი ღიმილით შეგებებება, რომელმაც ყველაზე ღამაზი ნაყოფი გვიწილადა; რომელმაც შეძლო თავის ღარიბულ საცხოვრებელში მონახა ადგილი ღმრთისმშობლის ან იესოს ხატის მოსათავსებლად, რომელიც დაგვეხმარა აღმოგვეჩინა სხვებში გულწრფელობა და უბრალოება, რომელმაც დაგვაფიქრა იმაზე, რომ მატერიალური მოთხოვნილებები არ შეიძლება განცალკევებულ იქნეს სულიერი მოთხოვნილებებისაგან. ძნელი იქნება დაივიწყო ის განსაკუთრებული კავშირი ჩემს თანამგზავრებთან ან და მათთან, ვინც გაგვიღო საკუთარი საცხოვრებლის კარი და გვიმასპინძლა; დაბოლოს, ძნელი იქნება დავიწყება იმ სიმტკიცისა, სიმშვიდისა, სიყვარულისა, რომლითაც გაუღვინთილია იმ ადამიანების ყოველი ეესტი და სიტყვა, ვინც გადაწყვიტა თავი მიუძღვნას სხვებს.

გმადლობ, საქართველოვ!

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ევროპის ქვეყნებში ქრისტიანული ფასეულობების გაუფასურებაზე. ამბობენ, რომ რწმენის ნაკლებობა შეიძინევა ბევრ ქვეყანაში. ხალხი ნაკლებად დადის ეკლესიაში და მათთვის წინა პლანზე სხვა ფასეულობებმა წამოიწია. როგორია ოჯახისა და სკოლების როლი რელიგიის საქმეში; თქვენი კომენტარი, ზოგადად, იტალიაში არსებულ სიტუაციაზე.

ლუჩია: იტალია არის ქვეყანა, რომელსაც, შესაძლოა, ევროპის სხვა ქვეყნებზე მეტად შეუძლია იამაყოს ძალზე ღრმა ქრისტიანული ფესვებით. ადრე ეს რწმენა ტრადიციულად ისწავლებოდა და, ნაწილობრივ, სკოლის ცხოვრების ნაწილიც იყო. დღეს კი საჯარო სკოლები მტკიცედ იცავენ საკუთარ საერო სახეს. ზოგიერთ კერძო სკოლებში რელიგიის სწავლებას, კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობა, მაგრამ ამაზეც ძლიერი წინააღმდეგობაა. ისე ჩანს, თითქოს საკმარისი სივრცე აღარ არის დარჩენილი საკუთარ რწმენაზე სასაუბროდ, მის შესაცნობად, მის დასაფასებლად. რელიგია განცდილი და დანახულია, როგორც მხოლოდ პირადული სფერო, რომელსაც არაფერი ესაქმება სწავლების სფეროსთან. ამის გამო მრავალი ბრძოლა გაიმართა და კვლავ მიმდინარეობს კერძო სკოლებთან, განსაკუთრებით კათოლიკურ სკოლებთან, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ამგვარ თემებზე სასაუბროდ შეხვედრა, სადაც კათოლიკური რწმენის ღირებულებები უმთავრესია; ეს სკოლები გამოირჩევიან მათში არსებული ურთიერთობითა და სწავლების ხარისხით.

გასაგებია, რომ ყველაფერი სრულყოფილი ვერ იქნება, მაგრამ საჭიროა შევინარჩუნოთ და გავაგრძელოთ ეს გზა. პირადად მე წილად მხვდა ბედნიერება მეცხოვრა ისეთ ოჯახში, რომელმაც დიდი მსხვერპლის ფასად აირჩია ჩემთვის კათოლიკური სკოლა, სწორედ იმიტომ, რომ არსებით საკითხად მიიჩნევდა ჩემი აღზრდა-განათლება წარმართულიყო ისეთ გარემოში, რომელიც შეძლებდა გადმოეცა ჩემთვის სტაბილური, მტკიცე ფასეულობები. არ შემიძლია ვთქვა, ვიქნებოდი თუ არა ახლა სხვანაირი ადამიანი, რომელიმე სხვა სკოლაში რომ მევლო. დარწმუნებით ის შემიძლია ვთქვა, რომ ის გამოცდილება და გადაწყვეტილებები, რაც მივიღე და არჩევანი, რაც განმიხორციელებია, სწორედ იმის ნაყოფია, რაც მე ერთ დროს სწავლების პერიოდში გადმომიეცა.

საქართველოს კათოლიკეები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არიან განწყობილნი სტიგმელი მღვდლების მიმართ. ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მამა კარლო დი სტეფანო და მამა ლუიჯი მანტოვანი, ჩვენი არა მარტო სულიერი მამები, არამედ საქართველოს დიდი მოამაგენი და თავიანთი მრევლის ერთგული მეგობრებიც არიან. თქვენთან, იტალიაში, როგორი დამოკიდებულება აქვთ მრევლის წევრებს სტიგმელთა კონგრეგაციის მიმართ.

ეუჯენია – ჩვენს ქვეყანას წილად ხვდა ბედნიერება იმისა, რომ სწორედ აქ დაირწა სტიგმელთა ოჯახის აკვანი, აქ დაიბადა წმ. გასპარე და აქ წამოიწყო თავისი საქმე. ამიტომაც კარგად ვიცნობთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სტიგმელებს, სკოლებში, სამრევლოებში, სამწესოებში. ვიცნობთ მათ, როგორც სულიერ წინამძღოლთ. როგორც საერო პირები ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ და ვმონაწილეობთ მათ მისიებში და მრავალ სექტორში ჩვენი მონაწილეობა მათ ქარიზმასთან ჭეშმარიტ ზიარებას წარმოადგენს.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთი მშვენიერი გამოცდილებაც შევიძინეთ, რაც დაკავშირებულია ფორმაციასთან და იმაზე ფიქრთან და

მსჯელობასთან, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ, საერო პირებს, ვიაროთ სტიგმელთა მხარდამხარ, თითოეულმა საკუთარი ცხოვრებისეული სიტუაციის შესაბამისად, მაგრამ სრულ მზაობაში, ჰარმონიასა და სიახლოვეში მსოფლიოსთან და მისიონერულ გამოცდილებასთან.

ღირსშესანიშნავია ABCS-ს მოღვაწეობა, ესაა Associazione Bertone: Cooperazione Sviluppo (ასოციაცია ბერტონე – თანამშრომლობა, განვითარება), რომელიც ჩამოაყალიბეს იმ მოხალისე საერო პირებმა, ვინც მხარში უდგას სტიგმელ მისიონერებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

გმადლობთ!

ისტორიის ფურცლები

სტეფანე გიორგიზოვი

მამა სტეფანე (სტეფანუსი) გიორგიზოვი დაიბადა თურქეთში, თუმცა მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. ასევე, არაა ზუსტად დადგენილი მისი გარდაცვალების თარიღიც, თუმცა, სავარაუდოდ, იგი 1955 წლის გაზაფხულზე, ასირიელთა გადასახლების შემდეგ (1949-50 წ.წ.) უნდა გარდაცვლილიყო. იგი წარმომავლობით ასირიელთა უძველეს (ასირიულად – ბოტას) შტოს ეკუთვნოდა და მისი წინაპრები უძველეს არამეულ ენაზე მეტყველებდნენ.

მამა სტეფანე თურქეთიდან საქართველოში 1914 წელს ჩამოვიდა, სომხებისა და ასირიელების განადგურების შემდეგ. მანამდე იგი თურქეთსა და სპარსეთში ფარულად ასრულებდა ღმრთისმსახურებას. საქართველოში ყოფნის დროს იგი ცხოვრობდა რენინგენის ქ. №12–ში (ახლანდელი ჩუბინიშვილის ქ.) მე-3 სართულზე, პატარა, მოუწყობელ ოთახში. რევოლუციის დროს და შემდგომ მამა სტეფანე ფარულად ასრულებდა საეკლესიო საიდუმლოებებს, ასევე, მიდიოდა მორწმუნეებთან და ფარულად აკურთხებდა სახლებს. იგი, საქართველოს გარდა, აზერბაიჯანშიც, კერძოდ კი აღსტაფაში ჩადიოდა და ერთ-ერთი კერძო ბინის სხვენში ფარულად ასრულებდა ღმრთისმსახურებას.

მამა სტეფანემ თურქეთში დაამთავრა სასულიერო სემინარია და უფლება ჰქონდა ემსახურა ორი წესის – ასირიულ-ქალდეური და ლათინური წესის მიხედვით. იგი, მშობლიურ არამეულთან ერთად, მრავალ სხვა ენას ფლობდა (ქართული, თურქული, რუსული, ლათინური, იტალიური, გერმანული და სხვ.).

თბილისში ჩამოსვლამდე მამა სტეფანე ვლადიკავკაზში თავის დიაკონთან ერთად ყაზარმაში შეასახლეს. იქ ბოლშევიკები მას სასტიკად ექცეოდნენ და აბუჩად იგდებდნენ: აიძულებდნენ მას, გაეთხარა საფლავები და მიცვალებულები დაემარხა, თან აგდებულად ეუბნებოდნენ: „მღვდელი, წადი, დამარხე“.

ერთ-ერთი მოხუცი ასირიელი იგონებს: ომის დროს მამა სტეფანეს გარდაბნიდან ფარულად ჩაჰყავდა თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარში მორწმუნეები. მოხუცები და ბავშვები კი ცხენის ურიკით მიჰყავდა ფარული გზებით, რათა გზად კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გადაჰყროდა.

მამა სტეფანე სიცოცხლის ბოლო პერიოდში ისე დაუძღვრდა, რომ თავისი ბინიდან ეკლესიამდე მისვლას თითქმის მთელი საათი ანდომებდა (გზა კი 10 წუთის სავალი იყო). მას სტანჯავდა პარკინსონიის დაავადება. კომუნისტებმა აიძულეს ერთი ქალი მამა სტეფანესთვის საშინელი ბრალდება წაეყენებინა, თითქოს მღვდელმა მას საყვარლობა შესთავაზა. მაგრამ, შემდეგ,

ამ ქალმა თავის თავში იპოვა ძალა და სიმართლე აღიარა, რომ კომუნისტებმა აიძულეს ცილი დაეწამებინა მღვდლისთვის.

მეორე მსოფლიო ომის დროს კომუნისტებმა გადაწყვიტეს, გაეუქმებინათ წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესია და იქ კარტოფილის საწყობი გაეხსნათ. მაგრამ, ალბათ, ღმრთის ნება იყო, რომ მთელს ამიერკავკასიაში მხოლოდ ეს ეკლესია ფუნქციონირებდა. ხალხი იხსენებს, რომ მარიამის ზეცად აღყვანების ეკლესიის გაუქმების შემდეგ, მორწმუნე ხალხს ტირილით მიჰქონდა ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები პეტრე-პავლეს ეკლესიაში. მოხუცები იმასაც იხსენებენ, რომ ლერმონტოვის ქუჩაზე (სავარაუდოდ №18-ში) იყო კათოლიკური სამლოცველო, რომლებიც ესპანელებმა ააშენეს, აქვე მახლობლად ყოფილა კათოლიკეთა სასაფლაო, სადაც ამჟამად საცხოვრებელი კორპუსები დგას.

მამა იან სნეჟინსკი იხსენებს, რომ მამა სტეფანემ კარგად იცოდა ლათინური წესი, ასევე კარგად ფლობდა გერმანულ ენას. მან გადაარჩინა ჩვენი ეკლესია დახურვისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მამა ემანუელ ვარდიძე დაპატიმრებული იყო. ბიძაჩემის, იოსების, გადმოცემით, მამა სტეფანეს კარგი ურთიერთობა ჰქონია მორწმუნე ახალგაზრდებთან და უყვარდა მათი გაყვანა ქალაქგარეთ, ბუნებაში და იქ ესაუბრებოდა ღმერთზე. ბიცოლაჩემი ნუბარი კი იხსენებს, რომ იგი ძალზე მკაცრი იყო აღსარების დროს და მთელი საათი უნდებოდა ერთი ადამიანის აღსარებას, წინასწარ თითქმის მთელ კატეხიზმოს გამოჰკითხავდა, რათა მორწმუნეს მთლიანად გაცნობიერებული ჰქონოდა ღმრთის რწმენა. იმასაც ამბობენ, რომ ნუბარის დიდი ბიძა, რომელსაც თავისი პატარა ბიზნესი ჰქონდა, კომუნისტებს ფულს აძლევდა ქრთამად, რათა ეკლესია არ დაეკეტათ. ასირიელი მორწმუნე ედიტა კი იხსენებს, რომ მამა სტეფანე საოცრად შთამბეჭდავად ქადაგებდა, ხოლო მისი მოხუცი დედა მოძღვრის ქადაგებით ყოველთვის აღტაცებული ბრუნდებოდა ეკლესიიდან.

ბატონ ირაკლი მაჭავარიანს დღემდე ნათლად ახსოვს მამა სტეფანე: “მას ვხედავდი ძირითადად ეკლესიაში და ქუჩაში. იგი არაერთხელ მოსულა ჩვენს სახლშიც, კარებს მე ვუღებდი და ძალიან მსიამოვნებდა მისი მოსვლა. ჩვენს ოჯახშიც უხაროდათ მისი მოსვლა და დიდ პატივს სცემდნენ და უყვარდით იგი”.

მამა სტეფანე წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მორწმუნეთა შორის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. მას დიდი დამსახურება ჰქონდა საქართველოში კათოლიკობის გადარჩენის საქმეში, განსაკუთრებით, სტალინის რეჟიმის დროს, 1935-1940 წლებში, როდესაც მან შეცვალა პატიმრობაში მყოფი მამა ემანუელ ვარდიძე. ეს იყო უმძიმესი წლები საქართველოს კათოლიკეებისათვის და მთლიანად საქართველოსთვის.

ერთ-ერთი ასირიელი მორწმუნის ცნობით, გარდაბანში მცხოვრები მამა სტეფანეს დამხმარე მღვდელი სლივა ისაკ შამონი 1937 წელს დააპატიმრეს. ღმრთისმსახურების დასრულების შემდეგ მან სახლში მისვლა და ტანსაცმლის გამოცვლაც კი ვერ შეძლო, მხოლოდ ბიბლიის აღება მოასწრო და უბეში დამალა. როდესაც ჩეკისტებმა ჰკითხეს მას, თუ რას მაღავდა, მღვდელმა უპასუხა: „ჩემს საუკეთესო და ერთგულ მეგობარსო“. გაცეცხლებულმა კომუნისტებმა სწორედ ამ ბიბლიასთან ერთად გადააგდეს ის კასპიის ზღვაში და დაახრჩვეს.

ამ მძიმე წლებს ემსხვერპლა არაერთი კათოლიკე მღვდელი. შეუძლებელია არ გავიხსენო ქალბატონ ანასტასია ზუბალაშვილის ნაამბობი მღვდელ მეფისაშვილზე (სახელი ჩემთვის უცნობია), საოცრად განათლებულ და ერუდირებულ მოძღვარზე, რომელიც მრავალ ენას ფლობდა და, რომელსაც ინგლისურიდან ქართულად უთარგმნია შექსპირი, ამის გამო მისთვის

ინგლისის ჯაშუშობა დაუბრალებიათ და დაუხვრეტიათ, მისი ნაშრომი კი ჯალათმა მიისაკუთრა და თავისად გაასაღა.

მამა სტეფანე კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული. ვინც ამ წერილს წაიკითხავს, თუ რაიმე ცნობები მოგეპოვებათ მამა სტეფანე გიორგიზოვის, ასევე, სხვა დევნილი და წამებული მღვდლების შესახებ, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ჟურნალ „საბაში“ ან ელექტრო ფოსტით: zizostvis@yahoo.it

მირანდა ბაბაევა

ინფორმაცია

სიმპოზიუმი ქუთაისში

2007 წლის 23-24 ოქტომბერს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია („ქუთაისური საუბრები“ – XI), რომელიც მიეძღვნა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში პირველი წიგნის გამოცემის 130 წლისთავს.

„საბას“ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ 1860 წელს ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, ახალციხელმა კათოლიკე მოძღვარმა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლში (ფერიქოეში) კათოლიკე მეცენატი ძმების ზუბალაშვილების ფულადი დახმარებითა და რომის პაპის მხარდაჭერით ააგო „ღმრთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის“ სახელობის კათოლიკური ტაძარი, რომელიც მუსულმანურ სამყაროში მალე იქცა ქართული ეროვნული კულტურის კერად, მძლავრ ლიტერატურულ ცენტრად, უცხოეთში ეროვნული სულიერების გამოღვიძება-გადარჩენის სიმბოლოდ.

მონასტერთან არსებობდა მამათა და დედათა სავანეები, სასულიერო სასწავლებელი... იქ მოქმედებდა საგანგებო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები; იტალიური, ფრანგული, ლათინური და სხვა ენებიდან თარგმნილი ლიტერატურა. პეტრე ხარისჭირაშვილისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით მონასტრის ბიბლიოთეკა მალე გახდა მდიდარი წიგნთსაცავი (პროფ. შუშანა ფუტკარაძის ცნობით, აქ ინახება 83 ათასამდე წიგნი).

განუზომლად დიდია, საერთოდ, მონასტრისა და, კერძოდ, მისი მესვეურების ღვაწლი სასულიერო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ასპექტით. საგულისხმოა ისიც, რომ საზღვარგარეთ არსებული ქართული რელიგიურ-კულტურული ცენტრებიდან სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე ერთადერთია, რომელსაც უცხოელები ვერ დაეპატრონენ. ფერიქოის დიდებული მონასტერი თავისი მდიდარი წიგნთსაცავით ქართველთა საკუთრებად კვლავ რჩება, რაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის სტამბოლში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის – კათოლიკე სიმონ ზაზაძის ოჯახსაც.

ბ-ნი სიმონი მამის – პავლე ზაზაძის მსგავსად მეცენატობას უწევს ქართულ მონასტერს. მისი სურვილია ფერიქოეს ტაძარში სახელოვანი წინაპრების საქმიანობა გააგრძელონ ქართველმა კათოლიკე მღვდლებმა, წინანდებურად აღორძინდეს სავანეში მეცნიერული კვლევა-ძიება, რათა მთელმა საქართველომ უკეთ გაიცნოს ქართველ კათოლიკეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეული ჩანს სავანეში დაცული მრავალფეროვანი მასალა: უცხოური თუ ქართული ისტორიული წყაროები, უძველესი ხელნაწერები, ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებანი და ა. შ. სწორედ ამ მასალებით დაინტერესდა პროფ. შუშანა ფუტკარაძე, რომელიც რამდენიმე წელია იკვლევს თურქეთში მცხოვრები ქართველების (მუჰაჯირების) მეტყველებას. სტამბოლში იგი პირადად გაეცნო

ბ-ნ სიმონ ზაზაძეს და მალე მასთან შეთანხმებით გაჩნდა იდეა – დაარსებულიყო სტამბოლის ქართული საგანის შემსწავლელი ცენტრი. შემდეგ შემუშავდა პროგრამა „სტამბოლის ქართული საგანი“. პროექტის ხელმძღვანელია შუშანა ფუტყარაძე (ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი). მასთან ერთად პროექტის ავტორები არიან ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი) და ტარიელ ფუტყარაძე (ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი).

პროექტი, რომლის განხორციელება ნავარაუდევია 2007-2011 წლებში, ითვალისწინებს კონკრეტული სამეცნიერო თემების დამუშავებას, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას, „სტამბოლის ქართული საგანის“ ბაზაზე ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების საერთაშორისო ცენტრისა და მძლავრი ქართველოლოგიური კერის ჩამოყალიბებას.

პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია: სტამბოლის ქართული საგანის ისტორია; სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული თეოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ენათმეცნიერული, ფოლკლორული, მუსიკალური ხასიათის ლიტერატურისა და წყაროთმცოდნეობითი მასალის ანალიზი; ხელნაწერების, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის, ემიგრანტული გამოცემების შესწავლა.

სიმპოზიუმს ესწრებოდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები; მოწვეული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, აგრეთვე, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მრევლის წევრები: ლევან ბეგიშვილი, დონარა და ვალერი ოცხელები და სხვ. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ მამა-შვილი სიმონ და პოლ (პავლე) ზაზაძეები.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. გიორგი ონიანმა. თავყრილობას მიესალმნენ ქუთათელი მიტროპოლიტი კალისტრატე, სიმონ და პოლ ზაზაძეები, როლანდ თოფჩიშვილი (ბ-ნმა როლანდმა თავის გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა ჩვენი კულტურის ისტორიაში ქართველ კათოლიკეთა ღვაწლის შესახებ და მადლიერებით მოიხსენია მათი ჭეშმარიტი მამულიშვილობა).

ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სახელით სტამბოლის ქართული საგანის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში დამსახურებისათვის სიმონ ზაზაძეს გადაეცა საპატიო პროფესორის დიპლომი, პოლ ზაზაძეს – საპატიო დოქტორის დიპლომი. გარდა ამისა, დიალექტოლოგიის ინსტიტუტში გაიხსნა სტამბოლის ქართული საგანის მასალების შემსწავლელი ცენტრი – პავლე და სიმონ ზაზაძეების სახელობის კაბინეტი.

სამეცნიერო კონფერენცია 2 დღეს გაგრძელდა, წაკითხულ იქნა 21 მოხსენება.

24 ოქტომბერს სიმონ და პოლ ზაზაძეები ესტუმრნენ ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას, შეხვდნენ მღვდლებს, მონაზვნებს, მრევლის წევრებს; დაათვალიერეს ეკლესიის მდიდარი ბიბლიოთეკა, ზოგადად გაეცნენ ეკლესიის საქმიანობას. იმავდროულად მოისმინეს ქუთაისელი მრევლის გულისტკივილიც იმასთან დაკავშირებით, რომ მათი წინაპრების მიერ აგებული კათოლიკური ტაძარი დღეს ხარების ეკლესიის სახელით მართლმადიდებელი მრევლის სალოცავი ადგილია და გარკვეული მიზეზების გამო წლების გამო არ ხერხდება სამართლიანობის აღდგენა – საკუთარი ეკლესიის დაბრუნება...

სიმპოზიუმის მუშაობა დამთავრდა, საინტერესო საქმიანობა დაისახა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა საგანის ისტორიის შესასწავლად (ამ ხაზით სამეცნიერო მუშაობაში ნავარაუდევია მამა გაბრიელე ბრაგანტინისა და მრევლის სხვა წევრების ჩართვა).

ვისურვოთ, რომ, უფლის ნებით, კვლავ აღორძინდეს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მრავალმხრივი საქმიანობა, ეროვნული სულით შთაგონებული ტრადიცია.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!

ანასტასია (ტასო) ზუბალაშვილი

* 20 აგვისტო, 1915, თბილისი

† 31 ოქტომბერი, 2007, თბილისი

შუშანიკ ლოკიანი

* ნინოწმიდა, სოფ. თორა

† 28 ოქტომბერი, 2007, ოზურგეთი

გიორგი აღლემაშვილი

* 1969, ვალე

† 11 ნოემბერი, 2007, ტიუმენი

ტარიელ აფრიამაშვილი

* 9 ივლისი, 1954, არალი

† 4 ნოემბერი, 2007, ახალციხე

მურადაშვილი პავლე

* 15 იანვარი, 1934

† 11 ნოემბერი, 2007, ხიზაბავრა

ახალგაზრდული გვერდი

ფინალური ჩემპიონატი მინიფეხბურთში

საქართველოს სამხრეთისა და დასავლეთის საკრებულოთა ახალგაზრდებმა თავიანთი ურთიერთობებისა და მეგობრობის განმტკიცება სპორტული თამაშებითაც სცადეს. როგორც „საბას“ მეთხველებმა იციან, სამხრეთ საქართველოს გუნდებისათვის მინი ფეხბურთში გამართულ მატჩში გამარჯვებული ვალეს ფეხბურთელთა გუნდი გამოვლინდა, რომელიც დიდხანს ელოდა დასავლეთის რეგიონიდან თავისი მეტოქე გუნდის ვინაობის დადგენას. სწორედ ამ მიზნით, 13 ოქტომბერს, დასავლეთ საქართველოს საკრებულოების ახალგაზრდულ გუნდებს შორის ჩატარდა შეჯიბრი ფინალისტის გამოსავლენად.

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: ახალშენი – ოზურგეთი (გაიმარჯვა ოზურგეთმა); ბათუმი – ქუთაისი (ამ მატჩში გამარჯვება ბათუმმა მოიპოვა). ფინალურ მატჩში ერთმანეთს ოზურგეთისა და ბათუმის გუნდები შეერკინენ, რომელშიც ბათუმის გუნდმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და დასავლეთ საქართველოს საკრებულოების ჩემპიონი გახდა. შეხვედრებს ახალშენი მასპინძლობდა თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებით. მართალია, მასპინძელთა გუნდი დამარცხდა, მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშვენივრად გაართვეს თავი მატჩების ორგანიზებას და შესაშური მასპინძლობა გაუწიეს სტუმართა გუნდებს.

ორივე ფინალისტის გამოვლენის შემდეგ, გადამწყვეტი შეხვედრა 27 ოქტომბერს გაიმართა მესხეთში. ვალეს „ვარდიამ“ უმასპინძლა ბათუმის „დელფინს“. შეხვედრა ძალზე მიმზიდველად მიმდინარეობდა. ორივე გუნდი თავგამოდებითა და ოსტატობით იბრძოდა და მართლაც ღირსეულ მეტოქეობა გაუწიეს ერთმანეთს. მათი გულშემატკივრების რიცხვი, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ყოველ წუთს იზრდებოდა.

ბათუმის „დელფინის“ მთავარი გულშემატკივარი გახლდათ ბატონი თენგიზ პარმაქსიზიშვილი მეუღლითურთ, მათი ორივე ვაჟი ბათუმის გუნდში თამაშობდა.

საბოლოო გამარჯვება ბათუმის საკრებულოს გუნდმა – „დელფინმა“ მოიპოვა, რომლის ბევრ მოთამაშეს, ალბათ დიდი მომავალი ელის. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სამახსოვრო თასი და გულშემატკივართა გულწრფელი მილოცვები. პირველებმა კი გამარჯვება მათ ვალეს საკრებულოს გუნდმა მიულოცა. მათ სანიმუშო მასპინძლობა გამოავლინეს და თავიანთი წაგება მეგობრების გამარჯვებას, მათი გულების გახარებასა და მომავლის იმედს მიუძღვნეს.

მართლაც, ძალზე საოცარია ღმრთის გეგმები და ჩანაფიქრი ჩვენს მიმართ, რომელიც ცდილობს ნებისმიერი გზებით შეგვახვედროს, დაგვაახლოვოს ერთმანეთს, რათა გვქონდეს მრავალმხრივი მისასვლელი გზები ერთმანეთის გულებთან.

ამ ყველაფრისათვის, პირველ რიგში, მადლობა ღმერთს და ამ შეხვედრების ორგანიზატორებს: მამა კარლო დი სტეფანოს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილს, მამა პავლე დილს, და ჟოზეფინასა და ახალგაზრდულ საბჭოს.

თეონა ტატალაშვილი

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
ეკუმენური გვერდი
ინტერვიუ
ისტორიის ფურცლები
ინფორმაცია
ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:
ქრისტიანული სიმბოლოები

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2007

ქრისტიანული სიმბოლოები საგანგებო ჩანართი

(გავრძელება. დასაწყისი იხ. „საბა“, 2007, № 10, 11)

თეზი IXΘΥΣ

ქრისტიანობაში თეზმა მიიღო საყოველთაო მნიშვნელობა, თუმცადა სათავეს ის იღებს წარმართობაში. როგორც თავისი ნაყოფიერებით ცნობილი არსება, წარმართებისათვის ის იყო ეროტიკული სიმბოლო. ძველებს ყველაზე მეტად დელფინი (მას თევზად მიიჩნევდნენ) უყვარდათ, რადგანაც იგი ადამიანის მოყვარედ ითვლებოდა. ძველად სჯეროდათ, რომ დელფინი მეზღვაურებსაც აფრთხილებდა მოსალოდნელი ქარიშხლის წინ. ქრისტიანობაში ამ სიმბოლოს ხელი შეუწყო იმან, რომ თეზი სახარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თეზი, ტბა, ნავი, თევზაობა, თევზით სავსე ბადეები, სახარებაში ასეთ მნიშვნელოვან ადგილს შემთხვევით არ იკავებენ. იესო თავის მოწაფეებს მებადურებს უწოდებს (მათ. 4,19; მარკ. 1,17). ზეციური სამყარო სახიერად უტოლდება ყველა ჯიშის თევზით სავსე ბადეს, „და მერე, მსგავსია ცათა სასუფეველი ბადისა, რომელსაც აგდებენ ზღვაში, და იჭერს ყველანაირ თევზს“ (მათ. 13, 47). მეთეზისა და თევზის სახეები, როგორც მქადაგებლისა და მოქცეული მორწმუნის სიმბოლოები, ქრისტიანული აზრით სრულიად გასაგებია, მაგრამ ამ სიმბოლოს სხვა საფუძველიც ჰქონდა.

თეზის ბერძნული სახელწოდება IXΘΥΣ ხუთი ასოსაგან შედგება, რომლებიც არიან საწყისი ასოები უშუალოდ ძე ღმრთისათან დაკავშირებული სიტყვებისა: ΙΧΘΥΣ Χριστός Θεός Υιός Σωτηρ იესო ქრისტე ძე ღმრთისა მაცხოვარი. ამრიგად თეზის ბერძნული სახელწოდება გადმოსცემს ქრისტეს ღმრთაებრიობასა და მისი, როგორც მესიის რწმენას. აქედან გამომდინარე, მასში გვაქვს თავისებულები უძველესი რწმენის სიმბოლო. ამ გარემოებამ თეზის სიმბოლო გაუთანაბრა მისი ასოებისაგან შედგენილ შინაარსს და, ბუნებრივია, თეზის გამოსახულება საყოველთაოდ გავრცელდა. იგი გვხვება ყველგან: სარკოფაგებზე, საფლავებზე, სხვადასხვა საგნებზე და ა. შ.

ქრისტიანები სხვადასხვა მასალისაგან გაკეთებულ თეზებს ჯვრის მსგავსად ყელზე ატარებდნენ. ასეთ თეზებზე გვხვდება წარწერა: „შეგვიწყალებ““. თეზის სიმბოლურ მნიშვნელობასთან ამ სიტყვის დაკავშირებით ვიღებთ: „იესო ქრისტე ძეო ღმრთისაო, მაცხოვარო, შეგვიწყალებ““. შესაძლოა ეს იყოს იესოს ღოცვის პირველსახე. რომაული კატაკომბების გარდა ასეთი თეზები აღმოჩენილია საფრანგეთში, ათენში, ძველიქრისტიანული სასაფლაოების ადგილას. ზოგიერთ მათგანზე სიტყვა IXΘΥΣ ნაცვლად გამოსახულია რომაული ციფრები X, XX, XXX, რომელთა აზრიც ჯერ არ არის გაშიფრული.

თევზის გამოსახულების არაჩვეულებრივ გავრცელებას საფლავის წარწერების გარდა ადასტურებს მათი ლიტერატურული გამოყენებაც მრავალ ქრისტიან მწერალთან – ტერტულიანე, კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, ნეტარი იერონიმე, ორიგენე და სხვა. მაგრამ ამ სიმბოლოს მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო ქრისტიანთათვის, რომ ისინი მას მაღავედნენ ყველაზე დიდხანს და მეოთხე საუკუნემდე არც ერთი ავტორი არ გვაძლევს ამ სიმბოლოს საბოლოო ახსნას.

ამგვარად, თევზის პირველი და ძირითადი მნიშვნელობა – თვით ქრისტეა. თევზის დაკავშირება მხსნელთან გვხვდება ძველ აღთქმაშიც. ქრისტიანები მასში ხედავდნენ პირველსახეს იმისა, ვინც კურნავდა სულებსა და სხეულებს, განაგებდა ეშმაკეულთ და უბრუნებდა ნათელს ბრძმებს. მეორე საუკუნიდან თევზის გამოსახულება მრავალ წარწერაში ცვლის იესოს სახელს. იმის საჩვენებლად, რომ ეკლესია დაფუძნებულია ქრისტეზე და მასზე დგას, გამოსახავდნენ გემს – ეკლესიის სიმბოლოს – რომელიც თევზს ეყრდნობა. ქრისტე, ასევე გამოსახებოდა პატარა თევზებით გარშემორტყმული დიდი თევზის სახით. ჩვეულებრივ ამ ნახატში დიდი თევზი დელფინი იყო.

გამოსახულებებში და წერილობით წყაროებში თევზი ევქარისტის საიდუმლოსთან არის დაკავშირებული. ამის დასტურია ძველი საფლავის წარწერები. მაგალითად, II საუკუნის წარწერები, რომელიც აღმოჩენილია ფრიკიაში და გალიაში. პირველი, ფრაკიაში აღმოჩენილი წარწერა არის იეროპოლის ეპისკოპოსის მოციქულთა სწორის ევრიკის საფლავის ქვაზე. წმიდა ევრიკი ბევრს მოგზაურობდა, იყო რომში და მოიარა მთელი აღმოსავლეთი. წარწერის ტექსტი ასეთია: „რწმენა მატარებდა ყველგან, ყველგან მთავაზობდა საკვებად თევზს სიცოცხლის წყაროდან, იმ დიდ და წმიდა თევზს, რომელსაც ატარებდა უხრწნელი ქალწული საშოთი და, რომელსაც იგი აძლევდა მეგობრებს საჭმელად ყველა დროში, სტავაზობდა კიდევ მშვენიერ ღვინოს, რომელსაც ის აძლევდა წყალთან და პურთან შერეულს“. თევზი, რომელსაც ქალწული საშოთი ატარებდა – ქრისტეა. პური და ღვინო შერეული წყალთან, მიანიშნებს ევქარისტის საიდუმლოზე.

მეორე წარწერა აღმოჩენილია გალიაში და მიეკუთვნება პიქტორ სტენელს. ეს არის ბერძნული ლექსი, რომლის სტრიქონთა პირველი ასოები შეადგენენ სიტყვებს: იესო ქრისტე ძე ღმრთისა, იმედი“. ამგვარად, წმიდა ავრეკი რომიდან ევფრატამდე მოგზაურობისას ხვდებოდა არა მხოლოდ ერთ სწავლებასა და საიდუმლოს, არამედ ერთ სახესა და სიმბოლოს ამ საიდუმლოს გამოსახატავად – თევზს. მეორე წარწერა იგივე პრაქტიკაზე მიუთითებს ქრისტიანული სამყაროს მეორე ბოლოში.

აღსანიშნავია, რომ სახარებაში ყოველთვის, როცა მაცხოვარი ადამიანებს საჭმელს სთავაზობს, ეს არის თევზი და პური. ყოველთვის, როცა შეძლებისდაგვარად გამოხატავენ ევქარისტის საიდუმლოს – ტრაპეზის სახით, პურთან ერთად აუცილებლად გამოიხატება თევზიც. ამასთან იგი საიდუმლოს შესრულებისას არასოდეს გამოიყენება. ამ შემთხვევაში გამოსახულებაზე იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ პური და ღვინო არ არის ჩვეულებრივი საკვები.

კატაკომბების კედლებზე არის ევქარისტის უფრო ნატელი გამოსახულებებიც, მაგალითად, კალისტეს კატაკომბის მეორე საუკუნის ფრესკა: სამფეხაზე თევზი და სამი პური დევს. მის ერთ მხარეს სამი პურით სავსე კალათა, მეორე მხარეს ოთხი ისეთივე. შვიდი კალათა პური მიუთითებს პურის გამრავლების სასწაულზე, რომელიც არის ევქარისტის სახე. აქედან გამომდინარე, სამფეხა არის ტრაპეზი, მასზე თევზი – მაცხოვარი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მასთან დევს ევქარისტის პური, „სიცოცხლის პური“ (იოანე 6, 48). იმავე კატაკომბებში არის გამოსახულებათა მთელი სერია, რომელიც აზრობრივად ერთ მთლიანს შეადგენს. პირველი გამოსახულებაა მეთევზე,

რომელიც იჭერს თევზს – ადამიანის ქრისტიანობისაკენ მოქცევის სიმბოლო. ამის შემდეგ ნაჩვენებია ნათლობა და იმაზე მისანიშნებლად, რომ ნათლობა არის ახალი დაბადება, ნათლული გამოისახება ყრმის სახით. შემდეგ მოდის სნეულის განკურნების გამოსახულება, რაც ცოდვების შენდობას უკავშირდება. იმის ნიშნად, რომ ცოდვების მიტევება დაკავშირებულია ფიზიკურ განკურნებასთან, სნეული გამოისახება თავის სარეცელზე. ასეა ნაჩვენები მოქცევისა და ნათლობის შედეგი. მეორე სცენა: აქაც სამი ფრესკაა – სამფეხაზე დევს თევზი და პური, მის მახლობლად დგას მღვდელი, რომელსაც აცვია პალიუმი (ძველი ბერძენი ფილოსოფოსების და ქრისტიანი მღვდლების ჩასაცმელი. ის ასრულებს ზიარების საიდუმლოს. მეორე მხარეს ხელებადმართული ქალი დგას (ეს ორანტის უესტია, რომელიც ახლა ეკლესიის სახედ ითვლება). ტრაპეზის გამოსახულების გვერდით შვიდი კაცი უზის სუფრას, რომელზეც დევს ორი თეფში თევზით და პურით. ეს არის ზიარების სიმბოლური გამოსახულება. ტრაპეზის მეორე მხარეს არის მისი ძველადიქმისეული წინასახე – აბრაამის მსხვერპლშეწირვა. მეორე კედელზე გამოსახულია ცოცხალი თევზი, რომელსაც მოაქვს პურით სავსე კალათა, მის ქვეშ კი ჩანს ჭიქა ღვინით. ცოცხალი თევზი ეს არის ქრისტეს სიმბოლო, რომელიც ატარებს ევქარისტულ პურსა და ღვინოს. ამგვარად აჩვენებდნენ პირველქრისტიანები თავის სწავლებას ახალმოქცეულებს. ხაზს უსვამდნენ იმ საფეხურებს, რომელთაც ხსნისკენ მივყავართ: დაწყებული მოქცევიდან – ზეციურ ცხოვრებასთან ზიარებით დამთავრებული.

როგორც ვნახეთ, თევზს ორი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია: იგი არის სიმბოლო თვით ქრისტესი და სიმბოლო მოქცეული მორწმუნისა. ამ ორ მნიშვნელობას შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ პირველ ქრისტიანებს მკაცრად უნდა განესაზღვრათ, თუ რომელი მნიშვნელობით იყენებდნენ მას. ასეთი განსაზღვრა ხდებოდა სიმბოლოს გამოსახვის ადგილით – როცა იგი ქრისტეს აღნიშნავდა, ყველაზე საპატიო ადგილას, წარწერის ზედა მხარეს ათავსებდნენ. და ბოლოს, თევზი რომში აღმოჩენილ თიხის ლამპებზე სიმბოლურად სინათლესაც აღნიშნავს.

თევზი თავისი სიმბოლური მნიშვნელობით უკავშირდება ნათლობისა და ზიარების საიდუმლოებებს. ნათლობის საიდუმლოს აღნიშნისას, გამოსახავდნენ ერთმანეთის მიმართულებით მოცურავე დელფინებს და ჩვეულებრივ, სარკოფაგებზე წარწერის თავში და ბოლოში ათავსებდნენ. რაც შეეხება ზიარებას, ასეთი გამოსახულებები ზემოთ უკვე განვიხილეთ. ზოგიერთ გამოსახულებაზე ორი თევზი ერთად ქორწინების საიდუმლოს სიმბოლოცაა.

მტრედი η πελεια

მტრედი არის პირველი სიმბოლო, რომელსაც წმიდა კლიმენტი მოიხსენიებს. სახარება ნათლად გამოხატავს ამ ფრინველის ხასიათს და თვით ქრისტე ხდის მას უმანკოებისა და სისუფთავის სიმბოლოდ „იყავით უმანკონი ვითარცა მტრედნი“ (მათ. 10, 16). უძველეს ხელოვნებაში მტრედი ზეციური სიყვარულისა და მეგობრობის სიმბოლოა. ქრისტიანულ ხელოვნებაში, როგორც ეს ცანს ტერტულიანეს სიტყვებიდან, მტრედი უკავშირდება ისტორიულ, ძველადიქმისეულ ამბავს „წარდგინის შემდეგ, რომელმაც განწმინდა დედამიწა ადამიანთა ცოდვებისაგან, კიდობნიდან გამოშვებულმა მტრედმა, რომელიც ზეთისხილის რტოთი დაბრუნდა, აუწყა სამყაროს, რომ ღმრთაებრივი რისხვა ჩაწყნარდა; წარმართებთან ზეთისხილის რტო არის მშვიდობის სიმბოლო“ (ნათლობის შესახებ § 8).

ყველაზე ადრეული განმარტება ნოეს ოჯახის სიმბოლური მნიშვნელობისა გვხვდება წმ. იუსტინე წამებულის ტრიფონთან საუბრისას. ნოეს ოჯახის რვა

წევრს იგი განმარტავს, როგორც ქრისტეს აღდგომის რვა დღეს. როგორც ცანს, იგი ემყარება მოციქულ პეტრეს პირველ ეპისტოლეს (3, 20-21), სადაც მოხსენიებულია ნოეს კიდობანში გადარჩენილი რვა სული. კიდობნის, როგორც ეკლესიის სიმბოლოს განმარტება მოცემულია ტერტულიანესთან, შემდეგ კი გაგრძელდა აფრიკის ეკლესიაში წმ. კირიანეს ეპისტოლეების მეშვეობით.

მხატვრობასი ნოეს კიდობანს გამოსახავდნენ, როგორც ოთხკუთხედს. ამ სახით იგი გვხვდება წარწერებშიც და კატაკომბების კედლებზეც. ტერტულიანესთან ვნახეთ, რომ ქრისტიანობაში მტრედის ზეთისხილით გამოსახვა შემოდის ძველი აღთქმიდან და, ამიტომ, დასაწყისში მისი დაშორება ნოეს კიდობანთან არ ხერხდებოდა. სექტიმი სევეროსის (193-211 წ.წ.) მეფობის დროს ქალაქ აპამეიში იყო მონეტები, რომლის წინა მხარეს იმპერატორის სახეა, მეორე მხარეს კი – ზალიან საყურადღებო გამოსახულება, რომელიც აღმოსავლეთ ქრისტიანობის გავლენას ადასტურებს. ეს არის ფრინველისა და კიდობნის გამოსახულება. ქრისტიანებს ჰქონდათ ჩვეულება, გამოესახათ სხვადასხვა საგნებზე ფიგურები საკუთარი სახელის ხატობრივი გადმოცემისათვის. ქალაქ ამპეის მეორე სახელი ერქვა Cibotos. ბიბლიური Κιβωτοῦ-თან შეთანხმებამ მხატვარს უბიძგა გამოესახა ეს სახელწოდება კიდობნის სახით. თავისი ქრისტიანული რწმენა კი გამოხატა იმით, რომ კიდობანს დააწერა – ნოე. მასში გამოსახა ნოე და მისი ცოლი და კიდობნის გვერდითაც ისინი გამოსახა, ოღონდ ხელებადმართულნი. ერთი მხრიდან მოფრინავს მტრედი, რომელსაც კლანჭებში ზეთისხილის რტო უჭირავს. კიდობნის მეორე მხარეს კი ზის ყვავი. როგორც ჩანს, მხატვარს უსარგებელია ბიბლიის ებრაული ტექსტით, სადაც წერია, რომ კიდობნიდან გაშვებული ყვავი ხან მოფრინდებოდა, ხან გაფრინდებოდა, განსხვავებით სექტუაგინტასი და ლათინური თარგმანისა. ბიბლიური ტექსტიდან მეორე გადახვევა არის ის, რომ მტრედს ტოტი უჭირავს არა ნისკარტით, არამედ კლანჭებით.

მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი გამოსახულება ცალკე მტრედისა, როგორც მშვიდობის – სუფევის სიმბოლოსი. იმას, თუ სად უჭირავს ტოტი, დიდი სიმბოლური მნიშვნელობა არ აქვს. ამ სიმბოლოთი ქრისტიანები გამოხატავდნენ ყველა ფორმულას, რომელიც რამენაირად მაინც უკავშირდებოდა სიტყვებს: მშვიდობა და სუფევა – *ησυχία, pax*.

ტერტულიანეს მიხედვითაც მშვიდობის ცნება წარმართებთანაც ზეთისხილის რტოსთან იყო დაკავშირებული. ამასთან, მტრედი თავისთავად სულის სიმბოლოა და ხშირად აღნიშნავს სულიწმიდასაც. ასე რომ, ყოველ წარწერასთან სადაც სულია მოხსენიებული, შეიძლება შეგვხვდეს მტრედის გამოსახულება ან, ყოველგვარი წარწერის გარეშე ის შეიძლება მიუთითებდეს სულზე – *πνεῦμα, spiritus*.

მტრედის სიმბოლო დაკავშირებულია ნათლობის, ზიარებისა და ზეთისცხების საიდუმლოებებთან, როგორც გამოთქმა სუფევასთან – *εν ειρήνῃ, in pace* – დაკავშირებული სიმბოლო. ასევე, მტედები არიან ცოლ-ქმრული სიყვარულის ნიშანი და ქორწინების საიდუმლოს გამომხატველნი. როცა გამოსახულია ორი მტრედი, რომელთაც ერთი გვირგვინი უჭირავთ, ეს გამოსახულება ქორწინების სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ.

ფრინველები

აფრიკულ და სხვა მრავალ წარწერაში სამოთხეს გამოსახავდნენ, როგორც თავთავებს და ყვავილებს, რომლებთანაც მოფრინავენ არა მარტო მტრედები, არამედ საერთოდ, ჩიტები. როგორც ჩანს საწყისი სიმბოლოს

განზოგადოება ფსალმუნის გავლენით მოხდა. ჩიტების გამოსახულება გვხვდება, ძირითადად, ზეციური სასუფევლის გამოსახვისას. აქედან გამომდინარე, ის დაკავშირებულია ადღომის დოგმატთან.

ადამიანის სულის სიმბოლოდ ჩიტის გამოსახვის საინტერესო მაგალითია კირიაკესა და როდინასადმი მიძღვნილი წარწერა. მათი სახელების ქვეშ გამოსახულია ჩიტი, რომელიც კვებას ბარტყს. ეს სცენა უნდა მიანიშნებდეს, რომ კირიაკე როდინას დედა იყო.

თავისუფალი ჩიტი გაფრენილ სულს გამოხატავდა, ხოლო გალიაში მყოფი – ჯერ კიდევ მიწიერი ბოერკილებით შ ბოჭილს.

ევქარისტის საიდუმლოს სიმბოლურად გამოხატავს ყარყატი, რომელიც მკერდს იგლეჯს და კვებას შვილებს საკუთარი სისხლით. ეს სიმბოლო ღრმად შინაარსობრივია და გამოხატავს მაცხოვრის თავგანწირულ სიყვარულს ადამიანებისადმი. მაცხოვარმა თავისი გული გაიღო და ყველა მორწმუნე აზიარა თავის სისხლს.

უძველესი დროიდან ყარყატი იქცეოდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ბუნებისმეტყველები მას აქებდნენ, პოეტები აიდეალებდნენ, მხატვრები კი მის სიმბოლიზებას ახდენდნენ. ეს ყველაფერი ხდებოდა იმ თვისების გამო, რომელიც ახასიათებს ყარყატს და მოსწონთ ადამიანებს. ეს არის მისი სიყვარული შვილებისადმი და თავგანწირვამდე ბუდეების დაცვა. ასეთი ყურადღებით სარგებლობს წეროც. კერძოდ, თეთრი წერო, რომელიც გვხვდება აზიასი, აფრიკაში და ევროპაში. ის ცხოვრობს წყლის მახლობლად და იკვებება ქვეწარმავლებითა და მწერებით. ამით მოსახლეობას კეთილ სამსახურს უწევს და მათ სიყვარულს იმსახურებს. წეროსაც, ყარყატის მსგავსად, შვილებისათვის უსაზღვრო თავგანწირვა ახასიათებს.

ყარყატი მშობლები ერთად კვებავენ შვილებს და ერთ-ერთი მათგანი არასოდეს სცილდება ბუდეს. მათ შვილების კვების განსაკუთრებული წესი აქვთ. ისინი საკვებს საკუთარი ყელიდან და კუჭიდან იღებენ. სწორედ ამ გარემოების გამო წარმოიშვა ლეგენდა, თითქოს ყარყატი მკერდს იღადრავს და თავისი სისხლით კვებას ბარტყებს.

ყარყატი, როგორც ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის სიმბოლო, გვხვდება ბიბლიურ და საეკლესიო პოეზიაშიც და გამომსახველობით ხელოვნებაშიც – მოზაიკა, ფრესკა, ფგერწერა, სკულპტურა – უძველესი დროიდან XII საუკუნემდე. არსებობს ყარყატის სიმბოლური გამოსახულება ათონის წმიდა პავლეს მონასტერში. აქედან ასეთი გამოსახულებები მთელს აღმოსავლეთში გავრცელდა, მაგრამ ახლა ისინი უმთავრესად დასავლეთში გვხვდება: რომში წმ. კლიმენტის ბაზილიკის აფსიდაზე, წმ. პავლეს ბაზილიკის მოზაიკაში და ა. შ.

გემი η νააც

წმიდა კლიმენტი ამ სიმბოლოს მიღებისას პირდაპირ განსაზღვრა მისი მნიშვნელობა. ზურგის ქარზე მოცურავე გემი აღნიშნავს მიწიერ ცხოვრებას. ძველებს უყვარდათ ცხოვრების დინების ასე გამოსახვა. ნავსაყუდელში შესული გემი, ალბათ, უნდა აღნიშნავდეს ადამიანს, რომელმაც დაასრულა თავისი ცხოვრების გზა.

გემის სიმბოლოსთან დაკავშირებულია ყველა მისი ატრიბუტი: ღუზა, აფრა, საჭე, ნიჩაბი, შუქურა.

წარმართულ სიმბოლიკაში გემის ცურვა დაკავშირებულია წარმატებით მიზნის მიღწევასთან. ზოგჯერ იგი სიცოცხლის დასასრულსაც უკავშირდება. ქრისტიანებმა გემის სიმბოლო შემოიტანეს ნოეს კიდობნის სიმბოლოს პირდაპირი გავლენით. ამასთან, სოლომონის სიბრძნეში (5, 10) უკანონო ადამიანების ცხოვრება შედარებულია გემის ცურვასთან.

ქრისტიანებმა გადმოიღეს მოცურავე გემის წარმართული სიმბოლო და მიანიჭეს მას მარადიული ცხოვრების მნიშვნელობა. წარმართისათვის სიკვდილით ყველაფერი მთავრდებოდა, ქრისტიანისათვის კი ეს იყო სიმბოლო იმისა, რომ მიწიერი აბოლოქრებული ცხოვრების შემდეგ სული, განსვენებული სიკვდილით, მარადიულ ნეტარებას დაიმკვიდრებდა. წარმართის მწუხარე რწმენა ქრისტიანისათვის აღდგომის სიხარულით შეიცვალა. ასეთი დამოკიდებულება ნათლად ჩანს წარწერებში, სადაც გამოსახულია სავანისაკენ მცურავი გემი, რომელსაც შუქურა უნათებს გზას.

ასეთია გემის თავდაპირველი სიმბოლური მნიშვნელობა. წარმოადგენდა რა ადამიანურ ცხოვრებას, იგი გამოხატავდა ყოველგვარ ფორმულას, რომელიც დაკავშირებული იყო ცხოვრების, სიცოცხლის იდეასთან: *სღაღ* (იცხოვრა) *სღაღ in pace* (იცხოვრა მშვიდობით).

ზოგიერთ წარწერაში გემს აწერია გარდაცვლილის სახელი, იმის აღსანიშნავად, რომ გემი ცხოვრებას გამოხატავს; ზოგიერთში, პირდაპირ მისი გამოსახულება ცვლის სიტყვა *სღაღ-ს* (იცხოვრა), *სღაღ in christo* და *სღაღ in Deo* -, იცხოვრა ღმრთის რწმენით.

რომის მახლობლად, ანანიასში, კოზმასა და დამიანეს ტაძარში, არის ერთი ფილა, რომელზეც გარდაცვლილის სახელის – *Cassius Dominus* – ქვეშ გამოსახულია დელფინი გემით ზურგზე. ამ გამოსახულებას დე როსი ხსნის, როგორც ეკლესიის სიმბოლოს, რომელიც გამაგრებულია ქრისტე მაცხოვრის სიმბოლოთი. თავისი ვესის დასამტკიცებლად მოიშველიებს ერთ გამოსახულებას, რომელზეც გემს შესათლოა ასეთი მნიშვნელობა მართლაც ჰქონდეს. აქ, გემს ეკლესიის მნიშვნელობას განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნები ანიჭებენ, მაშინ, როცა წარწერაზე ისინი არ გვხვდება. ამას გარდა, გაუგებარია რატომ გამოსახავდნენ გემს ასეთი მნიშვნელოვანი ფორმულით წარწერის ქვეშ, როცა მისი ადგილი ფილის დასაწყისში უნდა აღნიშნავდეს ფორმულას – *სღაღ in christo* იცხოვრა ქრისტეს რწმენით.

გემი მართლაც შეიძლება იყოს ეკლესიის სიმბოლო. მაშინ მისი მნიშვნელობა აიხსნება განსაკუთრებული გარემოთი. მაგალითად, ონიქსზე გემის გამოსახულება, რომელიც ზღვაში თევზს ეყრდნობა. აქ გემის სიმბოლური მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ თევზით, არამედ წარწერით *IHC* – მაცხოვარი და *PET* – პეტრე მოციქული (მათ. 14, 22-30) უკავშირდება მაცხოვრის წყალზე გავლას. გემზე სამი ადამიანია, მეოთხე – პეტრე – მიდის ქრისტესკენ წყლით და იწყებს ჩაძირვას. გემის ანძაზე ზის მტრედი, მეორე მტრედი კი – კიჩოზე. ამ გამოსახულებაზე გემის სიმბოლური მნიშვნელობა აიხსნება სხვა გამოსახულებებით.

საერთოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გემის სიმბოლოს წარმოშობა გვიან მოხდა, როცა საეკლესიო მწერლებმა დაიწყეს მის ასეთ მნიშვნელობაზე ლაპარაკი, თანაც მისი გამოსახულებები ჩნდება გვიანდელ ძეგლებზე.

შუქურა. გემის სიმბოლური მნიშვნელობა, როგორც ცხოვრების სიმბოლოსი, მოითხოვდა შუქურას გამოსახულებას, როგორც იმ სავანის მიმნიშნებლისა, სადაც გემი მიცურავდა. ასეთი გამოსახულებაა ცეცხლიანი ან უცეცხლო შუქურა მწვერვალზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი გამოისახებოდა სამ, ოთხ ან ხუთ იარუსიანი საფეხურებით. ასეთი სახით, ოღონდ გემისაგან ცალკე, იგი წარმოდგენილია პონციანის გამოქვაბულში ნაპოვნ ფილაზე. ქვის ზემოთა ნაწილზე არის გვირგვინი, მის გვ ერდით ოთხიარუსიანი შუქურა ცეცხლით, შემდეგ წარწერა. სარკოფაგზე სამიარუსიანი შუქურა სამ ნავთან ერთად, რომელსაც გენიები მართავენ და მისკენ მიემართებიან.

ღუზა. ღუზა, როგორც გემთან დაკავშირებული სიმბოლო, მის შემდეგ უნდა წარმოშობილიყო, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი მიეკუთვნება

ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს სიმბოლოს. იგი გვხვდება II-III საუკუნეების წარწერებში: რომში – 230 წელს, გალიაში – 474 წელს. ცხადია, ღუზა კი არ გამოეყო გემის სიმბოლოს, არამედ წინ უძღოდა მას. წმ. კლიმენტი მიანიშნებს მის გავრცელებაზე წარმართულ სიმბოლიკაში. მაკედონელი მეფეები სელევკიდების გვარიდან მონეტებზე გამოსახავდნენ ღუზას. მათი საგვარეულო გადმოცემის თანახმად, სელევკი ნიკატორის (312-281 წ.წ. ქრისტემდე) დედამ ნახა სიზმარი, რომ ვაჟი ჩაესახა აპოლონისაგან, გაღვიძებულმა საწოლში აღმოაჩინა ბეჭედი ღუზის გამოსახულებით, რომელიც, ასევე ნახა სიზმარში და დაბადებულ ბიჭს ბარძაყზე ღუზა ჰქონდა გამოსახული. ებრაელთა მიმართ ეპისტოლის (6, 18-19) მიხედვით, რომელშიც ღუზა უკვე მიღებულია, როგორც მტიკე იმედის ნიშანი, ეკლესიის მამებიც მას ამ მნიშვნელობით განმარტავენ. წარმართებისათვის ღუზა დაკავშირებული იყო გადარჩენასთან პირდაპირი მატერიალური აზრით, ამიტომ ღუზის აწვევისას ამბობდნენ – ასწიეთ წმინდა ღუზა, მაგრამ მათთან იგი არასოდეს ყოფილა იმედის სიმბოლო. თუმცა ქრისტიანებთან ღუზამ მიიღო იმედის სიმბოლური მნიშვნელობა და გავრცელდა იმ დონეზე, რომ ყველა ფორმულაში ცვლიდა სიტყვებს – იმედი, ნუგეში. ხშირია გამოსახულება ღუზისა, რომლის გარშემოც შემოხვეულია თევზი ან დელფინი.

კიჩო. წმ. კლიმენტის ჰიმნის მიხედვით კიჩო არის ქრისტეს სიმბოლო, მაგრამ აქამდე ცნობილ სიმბოლოებში იგი ასეთი მნიშვნელობით არ გვხვდება. ბოლდეტის მიერ გამოცემულ ერთ წარწერაში შეიძლება ვნახოთ მიმსგავსებული დაკავშირება მისი და in pace-ის.

აფრა. 400 წელს რომში ნაპოვნი წარწერის ქვემოთ გამოსახულია ქოლგის ფორმით დაკეცილი აფრა. წარწერაზე იგი, როგორც გემის ნაწილი, ისეა გამოსახული და მის მნიშვნელობას ატარებს. დაკეცილი აფრა აღნიშნავს გემს, რომელმაც იპოვა ნავსაყუდელი.

ნიჩაბი. საფლავის ქვებზე გვხვდება, როგორც გემის ნაწილი.

მამა ანდრია ვაშაკიძე